# სახალხო გაზეთი

№ 1051 კვირა, 24 ნოემბერი 1913 წ. № 1051

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტი ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდ. პირველ გვერდზე თითო-ჯერ ხადმოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა"-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის ოდდილი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი"-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება ერთი თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად ძოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 20 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სახახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი" 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წელიწადში 8 მ. 50 კ., თვეში—75 კაპ. ცალკე № ყველგან 5 კ., დამატებიანი—7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა


ამ ნომერში ექვსი გვერდია.


სახალხო გაზეთი
ყოველკვირეული სურათებიანი დამატებით
პირველი ნოემბრიდან წლის დამლევამდე, როგორც ქალაქში ისე ქალაქ გარედ ღირს 1 მ. 50 კ.
თვეში ღირს 75 კაპ.
არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე.
მისამართი: Тифлисъ, „Сахалхо газети" Почт. ящ. 190.

ტელეფ. № 795. ქართული თეატრი წარმოდგენა 24—8.
კვირას, 24 ნოემბერს, ქართულ დრამატიულ საზოგად. დასის მიერ დამსახურებულ მსახიობთ ვ. აბაშიძის და ვ. გამყრელიძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება ცნობილი ორიგინალური პიესა:
მეხვეწარული,
დრამა 3 მოქ. ი. გედევანიშვილისა.
მონაწილეობას მიიღებენ ქ-ნნი: აბაშიძე, ასათიანი, დავითაშვილი, გარსიაშვილი, თორიძე, მდივანი, მაჭავარიანი, მამულაშვილი, სინაურიძე. ქოდალაშვილი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი. ბ-ნნი: აბაშიძე, არადელი-იშხნელი, ბარველი, ვოშლაური, გრიშაშვილი, გუნია, გამყრელიძე, ვარვარიძე, თარალაშვილი, თუხარელი, ზარდალიშვილი, იმედაშვილი, მომფორია, სარაული, საფაროვი, ხონელი, ციციშვილი, შანშიაშვილი, შალიკაშვილი.
დასაწყ. სწორედ საღამოს 8 ს. ადგილების ფასი ჩვეულებრივია.
რეჟისორი ვ. შალიკაშვილი. ადმინ. ქართ. დრამ. საზ.
ანონსი: მზადდება წარმოსადგენად: „ეროს და ფსიქეა", „დამარცხებული რომი", „სინათლე", „ჰამლეტი" და სხვ. 1576

საზამთრო ახალი კლუბი თეატრი
სამშაბათს, 26 ნოემბერს, 1913 წელს.
საოჯახო საღამო
პ. ი. ზარეჩნის დრამატიული დასის მიერ ქ-ნთ სტრუკოვისა, მანუილოვისა, ბ-ნნთ ბოროზდინისა, ტუგანოვისა, ტიხომიროვისა და სხვათა მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება:
კრეჩენსკის ქორწინება, კომედია 3 მოქმ. სუხოვო-კობილინისა.
ფასები: პარტერში 20—50 კ., გალერეია 10—30 კ. გალერეიაში ყველას შეუძლიათ შესვლა. სტუმრები კლუბში შესასვლელ ფასად იხდიან: კაცი 1 მ., ქალი 50 კ., სტუდ. 25 კ. დასაწყ. საღ. 8-ნახევ. ს. 1568

ყირიმელ-ხარისხოვანი

დიდი ცირკი
ძმ. ესიკოვსკებისა
მიხეილის პროსპ., მუშტაიდ. შესავალთან. ნ. კუნდუროვის ადგილზე
დღეს, 24 ნოემბერს, 1913 წ. გაიმართება
2 დიდი საგასტროლო წარმოდგენა.
უკანასკნელი დღეები ფლავანდთა. finale ჭიდაობა საჩუქრებზე.
დღეს ჭიდაობენ: კავკასიური ჭიდაობა გიორგი დათიაშვილის სურვილით და სეპნიკი, ვახლუროვი და ციპსი; გადამწყვეტი კაინი და კოპიევი
ანონსი: ხვალ ბენეფისი ვიქტოროვისა. ავტომობილის სრიალი, ბოქსი და ჭიდაობა.
828 დირექცია ძმ. ესიკოვსკებისა

ტფილისის ქართველ ქალთა საზოგადოების საბჭო
ამით აცხადებს, რომ ყოველგვარი მიწერ-მოწერა და აგრეთვე მასალები ალმანახში მოსათავსებლად მიიღება საზოგადოების მდივნის ნინო რცხილაძის ბინაზე (მოსკოვის ქუჩა, № 9). 1597.

ხელოვნების წამხალისებელი კავკასიის საზოგადოება
კვირას, 24 ნოემბერს, დილის 11 საათზე ჰმართავს
უკანასკნელ აუქციონს
საზოგადოების წევრთა ხელოვნურ ნაწარმოებისას საზოგადოების ბინაზე (გრიბოედოვის ქუჩა, № 24, არშაკუნისეული სახლი).
დათვალიერება დილის 10—5 საათამდე მსურველთ უფასოდ შეუძლიათ. 1605.

რ. ა. პორტუგალოვისა
იუწყება, რომ საფაბრიკო მაღაზიაში, რომელიც იმყოფება ნიკოლოზის ქუჩათან № 23—24,
მიღებულია ახალი საქონელი.
სეზონის შემდეგ გადარჩენილი საქონელი ძლიერ იაფ ფასებში. იყიდება საფაბრიკო ფასების 30% დაკლებით. დარწმუნებულნი ვართ, საქარხნო მაღაზიაში მყიდველნი კმაყოფილნი დარჩებიან. აქვე შეიძლება შეკვეთა.
მიღებულია დიდი წყება დამზადებული ტანისამოსისა.
მამაკაცთათვის, ქალებისათვის და ბავშვთათვის. აგრეთვე მამაკაცების „კოსტიუმები" და ქალების კაბები და კოფთები ცალ-ცალკე.
1491 პატივისცემით ძ-ნი პორტუგალოვისა.

სარატოვის მექარხნეები
„ე. ე. მაიერ"-ის
სავაჭრო სახლი.
ტფილისი, ერევნის მოედ. „კავკაზის" სასტუმროს ქვეშ, ტელეფ. № 13—15.
ამით ვაუწყებთ ჩვენს პატივცემულ მუშტრებს, რომ წარსულ წელთა მიხედვით, გადავსწყვიტეთ მომავალ დღესასწაულებისათვის ჩვენის მუშტრებისათვის გავმართოთ
იაფი გაჭრობა
მაღაზიაში მყოფ ყველა საქონლისა 20—30% -ს დაკლებით, ნოემბრის 25-დან 10 დღით, ესე იგი, 1913 წლის 5 დეკემბრამდე. 1607

ქართული თეატრი
კვირას დილით, 24 ნოემბერს 1913 წ.
ბ. ნიკ. კავსაძე, ქალ. მაატ. გომზინა-ბოლკონსკისა და რუსლანოვის (მსახიობნი კერძო ოპერისა) მონაწილეობით გამართავს
დილას.
მონაწილეობას მიიღებენ: ტფილ. ქართ. საამხანაგო გუნდი ბ-ნ მიხ. კავსაძის ლოტბარობით, (გლეხურ ტანისამოსში გამოწყობილი შეასრულებს ქართულს სიმღერებს და „მესტვირულს" გად. ვას. ხახიშვილისმიერ. ბ-ნნი: ი. გრიშაშვილი, ახოსპირელი და მჭედლიშვილი წაიკითხავენ ლექსებს. ძმ. მიხ. და ნიკ. კავსაძენი შეას. დუეტს „ზამთარი", ბ-ნნი * * შეას. ლექსებს „ვაი-ვუის" კილოზე, ქალ. გომზინა, ბ-ნ რუსლანოვი და აკოფაშვილი შეას. რუსულ რომანსებს, ვას. ურუშაძე წაიკითხავს გურულ სცენებს. ბავშვების გუნდი ნიკ. კავსაძის ლოტბ. შეას. ქართულს სიმღერებს. ბ-ნი მიხ. კავსაძე წაიკითხავს მოხსენებას: „ქართული მუსიკა (სიმღერა-გალობა), მისი ეხლანდელი ყოფა-მდგომარეობა და განვითარება". დაწვრილებით პროგრამაში. ფასები დაკლებულია, მოწაფეების ბილ. 30 კ. სამოქალაქო სკოლის მოწაფეებისთვის 25 კ. ბილეთები იყიდება თეატრის კასაში.
826 დასაწყ. 12 ს. გამგე ნიკოლოზ კავსაძე.

მიიღება ხელის-მოწერა 1914 წ.
ყოველ-კვირეულ სალიტერატურო სამხატვრო ჟურნალი
„ს უ ს ხ ი"
გამოვა ამა წლის 1 დეკემბრიდან
წელიწადში ღირს 2 მ. 50 კაპ. ცალკე ნომერი 5 კაპ. ვინც ამ თავით გამოიწერს, დეკემბრის ნომრები გაეგზავნება უფასოდ.
ფულის გადახდა შეიძლება ნაწილ-ნაწილ საფოსტო მარკებით.
ყოველ-გვარი წერილები და კორესპონდენციები უნდა გამოიგზავნოს შემდეგის მისამართით: Тифлисъ, Мухранская № 12, журналъ „С У С Х И". 1603

ტფილისის კერძო სამკურნალო
ქსნიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მიხეილის პროსპექტისა და ვეტცელის სასტუმროს ახლოს.
ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, ცალკე ნომრებით და საერთო ოთახები განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილებ.
მწოლიარე ავადმყოფთა მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები-სპეციალისტები:

| | |
|---|---|
| შინაგანი სნეულებანი. | მანსვეტაშვილი ვ. მ. ორშაბ., ოთხშ. და პარასკ. 2—3 ს.<br>მალალაშვილი ვ. ვ. სამშაბ. და შაბათობით 10—12.<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1. ს.<br>ფედოროვი ე. გ. ყოველ დღე, გარდა ოთხშ. და კვირისა 12—1.<br>ექ.-ქალ. ენგელ-მელიქ-შახნაზაროვისა ე. ა. ყოველ-დღე გარდა კვირისა 12—1 ს. |
| ქირურგ. სნეულებანი. | მარკევიჩი ვ. ლ. კონსულტანტი ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>მელიქიშვილი ნ. ა. ყოველ დღე 10—1.<br>ფირალოვი რ. ბ. ყოველ დღე 12—1. |
| ქალთა და სამშობ. სნეულებანი. | ექიმი-ქალი მერაბიცძე-ფირალოვისა ლ. ყოველ დღე 11—12.<br>თიკანაძე ი. ე. ყოველ დღე 1—2.<br>მელიქიშვილი ნ. მ. ყოველ დღე 10—1. |
| ბავშვთა სნეულბ. | ექ.-ქალ. ბაქრაძე-დედაბრიშვილისა ყ.-დღე, გარდა ოთხშ. 1—1<br>მიქელაძე შ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—1.<br>ფედოროვი გ. ს. ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა 12—1. |
| ნერვიულ. სნეულებ. და ელექ. | ჯავახიშვილი ნ. ნ. სამშაბ., ხუთშაბ. და შაბათ. 12—1.<br>ფონდოევი მ ს. ყოველ დღე 1—2. |
| ყელ. ყურის და ცხვირ. | ათენიანცი ნ. ა. ყოველ დღე $12^1/_2$—$1^1/_2$.<br>ორემბოვსკი ნ. ს. ყოველ დღე $1^1/_2$—2. |
| თვალის სნეულ. | მუსხელიშვილი მ. ს. ორშაბათ., ოთხშ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. და ვენერ. ავ. | დიასამიძე ა. ნ. ყოველ დღე $11^1/_2$—$12^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკროქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wasserman. რჩევისათვის 50 კ. საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მ.-დან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. დაწყებული. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და პილების კატეტერიზაცია, „606" და „914" წამლის შეშხაპუნება, ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება] და სხვა. შეღავათიანი ხაფასურით. ტ. 1466

მოსწიეთ ახალი პაპიროსები
ჩ ა ი კ ა
10 ცალი 3 კაპ. 20 ცალი 6 კაპ.
ამხ. კომეტა. ტფილისში
1497

სამკურნალო
სპეციალისტ-სამხედრო ექიმებისა
გარეშე მოსიარულე ავადმყოფთათვის. ვანქ. დიდ ქ.-ზე, № 3, ალექსანდ. ბაღ. მახლობლად ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათიდან საღამოს 5 ს.-დე.
აბულადიანი. შინაგანი სნეულ. ბავშვებისა. ყოვ.-დღე 2—3 ს.
ბელანჟე. ბავშვ. შინაგ., ავადმ., ყ.-დღ., $10—11^1/_2$ ს.
ბოგუცკი. ბავშვ. შინაგ. ავადმ., ორშაბ., ოთხშაბ., და პარასკ. 4—5 ს.
ერმოლაევი—შინაგანი ბავშვებ. ყ.-დღე 1—2 ს.
გორბაჩოვი—ბავშვ. შინაგანი სნეულებისა სამშაბ., ხუთშაბ., შაბ. და კვირ. 4—5 ს.
შამაში. სადოსტაქრო; ყ.-დღ., 1—3 ს.
გრიგორიანი ხირურგ. ავადმყ. ყოველ დღე 11 ნახ.—11 ნახ. საათ.
ახმეტოვი—ყურ., ყელ. და ცხვირ. ავად ყ.-დღე 1—3 ს.
რუდენკო შინაგანი ავადმყ. ხუთშ. და კვირ. 3—4 ს.
ბტენიანცი. ყელისა, ცხვირ., ყურ. და შინაგანი, 2—3 ს.
ი. ბ. ჩუდნოვსკი ძარღვ., სულ., ავადმ., ელექტრო-ტერაპია, ყოვ.-დღე გარდა კვირისა, $11^1/_2$—$12^1/_2$ საათ.
თეთრაძე. სიფ., ვენერიული და კანის სნეულ. ყოვ.-დღე 1—3 ს.
მხიტარიანი. ვენერიულ. კანისა და საშარდე სნეულ. ყოვ.-დღე 4—5 საათ.
ნოვიცკი. ბებია-ქალი, ყოვ.-დღე 1—2 ს.
კალამკაროვი. ბებია, ქალურის სნეულ. ყ.-დღ. 12—1 საათ.
ექ. ქალ. ოთხელიანი. ქალური სნეულ ორშ. ოთხშ., პარასკ., და კვირ. 11—12 ს.
გეინაცი—თვალისა ორშ., ოთხშ., და პარასკ. 4—5 ს.
ხოდნევი—თვალ. ექ. სამშ, ხუთშ., შაბ., და კვ., 4—5 ს.
ბაგდოევი—კბილ. ყ.-დღე 3—5 ს.
სათვალების არჩევა.
კონსულტაცია, ოპერაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ჰიპნოზი, ანალიზი, ძიძებისდა მოსამსახურეთა გასინჯვა. „Wasserm an"-ის რეაქციით სიფილისიან სისხლის გამოკვლევა. 1070.

ექიმი მღვდელი ს. ა. ლეჟავა
მიიღებს ავადმყოფებს ყოველ დღე, გარდა პარასკევ, შაბათ და დღესასწაულების წინა დღეებისა, ნაშუადღევს 4 ს.-დან 7 ს.-მდე. ალექსანდროვის ქ. 41, ტელ. 16—57. 779

საბურთალოზე
მშვენიერ ადგილას
ახ-ლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის მახლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიათ მიმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე თაქთაქიშვილს, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათიდან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი, თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. წ. 122

გორის პირველი კერძო
სამკურნალო
ქირურგიულ და ტერაპევტიულ (შინაგანი სნეულებათა)
განყოფილებებით.
კუთხე სობოროსი და სემინარიის ქუჩისა, სახლი ზანგურიძისა.
სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 20 საწოლით.
მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ დროს.
გარედან მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი ექიმები:
კოზერიძე მ. ს. ქირურგიული, სამშობიარო და დედათა სნეულებანი ყოველ დღე 8—12 ს.-მდე.
წინამძღვარიშვილი მ. დ. შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი, ყოველ დღე დილ. 9—12 ს.-დე.
მესხიშვილი ს. ს. ქირურგ. სნეულებანი, ყოველ დღე 12—1 ს.-დე.
ბრიუკნერი ვ. ზ. თვალისა და ვენერიული (ათაშანგის) ავადმყოფოყოველ დღე 12—1 ს.-დე.
გინზბურგი ა. ლ. კბილისა სნეულებანი ყოველ დღე 2—9 ს. დე.
რჩევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ., ცალკე ოთახი 4 მ.
ოპერაციები, კონსილიუმი, ელექტრონით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება, შეხვევა და სხვა შეღავათიანი ფასით.
სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკრო-ქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. გასინჯვა: სისხლისა, შარდისა, ნახველისა, კუჭის წვენისა და სხვა, აგრეთვე ათაშანგის Wasserman-ი.
წამლობა „606", „914". 1604

ელექტრონის, რენტგენის სინათლის
სამკურნალო
საწოლი ოთახებით
მიხეილ გედევანიშვილისა
ნევრებით ავადმყოფთა მიღება ყოველ დღე, კვირის გარდა, დილის 12—2 საათ., საღამოთი 6—8 საათ. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20, ტელეფ. 791. 1468

ღარიბ მოწაფეთა შემწე ტფილ. გუბერნ. თავად-აზნაურთა საზოგადოების

# გამგე კომიტეტი

ამით აცხადებს, რომ **წლიური საზოგადო კრების გაგრძელება დანიშნულია ორშაბათს, 25 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე,** დეპუტატთა საკრებულოში.

**განსახილველია:** 1) ქალთა სკოლის ტიპის გამორკვევა, 2) ექიმის ხუთეულების მომატებაზე, 3) მშობელთა წრის შუამდგომლობა პედაგოგიურ საბჭოს სხდომებზე ხმის მიცემაზე. 1598

## ს. ს. ხეთაგურის ბაღოსნობა

**მებაღე შეგირდების მიღება.**

მეხილეობის პრაქტიკულად შესასწავლად სანერგეში უფასოდ აიყვანენ მოწაფეებად ახალგაზდებს არა ნაკლებ 15 წლისა, უმთავრესად გლეხის შვილებს, რომელთაც მებაღეობა ეინტერესებათ. სწავლა 2 წელიწადს გასტანს; ამ დროს განმავლობაში შეგირდები პრაქტიკულად შეისწავლიან მებაღეობას, რომელსაც ფირმა აწარმოებს: ხილის მყნობას, ბაღის მოვლას და კონსერვების დამზადებას. გამოცდის შემდეგ, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სპეციალისტები და სასოფლო სამეურნეო საზოგადოების წევრნი, ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, შესაფერ მოწმობას მიიღებს. მიწერ-მოწერისათვის მიმართვა შეიძლება ამ ადრესით: **ტფილისი სანერგე ს. ს. ხეთაგურისა.**

Тифлисъ питомники С. С. Хетагури. 1577

## „ახალი კლუბის“ მამასახლისთა საბჭო

**აცხადებს** კლუბის წევრთა და მუდმივ მოსიარულეთა საყურადღებოდ, რომ **უკანასკნელ ვადად 1914 წლისათვის საწევრო ბილეთების განახლებისა დანიშნულია ამ წლის 20 დეკემბერი.** ვინც თავის დროზე საწევრო ბილეთებს არ განაახლებს, ჰკარგავს კლუბში უფასოდ შესვლის უფლებას 1914 წლის 1 იანვრიდან.

საწევრო ფულების გადახდა და ბილეთების განახლება შეიძლება კლუბის კანტორაში ყოველ-დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე და საღამოს 9 საათიდან ღამის 12 საათამდე. 1585

**ბერლინის უნივერსიტეტის დოქტორი მედიცინისა**

## გ. მეჯრაბიანცი

დაბრუნდა უცხოეთიდან და განახლა შინაგან სნეულებით ავადმყოფთა მიღება. სნეულებანი ფილტვებისა—**ჭლექი**—და გულისა. შეთანაბრებული სპეციფიური **ტუბერკულინური წამლობა.** ხელოვნური **პნევმოტარაქსი. რენტგენის ელვასხივური სხივებით ფილტვებისა და გულის გაშუქება.**

ყოველ დღე, 9—1 საათ. და საღამოს 5—7 საათ. კვირაობით 9—12 საათ.

9—10 სათ. **ხაწულებს უფასოდ.**

ბებუთოვის ქ. სახ. 23, ტელეფონი 7—92. 1516

## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**

ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.

**ე. ხ. გაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგანავადმყ. $9^{1}/_{2}$ ს. 10 ს.

**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ., კანისა და ვენერ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**გ. ა. პობეთვა.** ყოვ. დღე, კვირის გარდა ყელ. ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ექ. ქალი ოსხელიანისა**—იღებს ქალთა ავადმყოფებს. სამშაბათობით, ხუთშაბათობით და კვირაობით 11—$11^{1}/_{2}$ ს.

**ნ. გ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.

**ვ. ვ. კედიაშვილი.** ყ.-დღ. შინაგ. ავადმყოფ. 1—2 ს.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური, ქიმიური გამოკვლევანი· აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა ფასი რიგისათვის 50 კ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით.

**წამლობა „606“-ით** 1468

## ექიმი ნ. ნ. ჯავახიშვილი

**ორდინატორად ნამყოფი კიევის ნერვების კლინიკაში.**

იღებს ნერვებით ავადმყოფებს საღ. 6—7 ს.-მდე. ჩოლოყაშვილის ქუჩა, № 12. **აქვე გამართულია ელექტრონის სამკურნალო კაბინეტი.** 737.

## ექიმი პ. ლ. კიკალიშვილი

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს $5^{1}/_{2}$ საათიდან 7 საათამდე. კახეთის ქუჩა № 2, ტელეფონი 15—27. 1502

**ქ. გ ო რ შ ი**

## ექიმი (დოქტორანტი). მ. დ. წინამძღვრიშვილი

ყოფილი. ორდინატორი ხარკოვის უნივერსიტეტისა და სამედიცინო ინსტიტუტის შინაგან სნეულებათა კლინიკებისა.

შინაგანი და ბავშვთა სნეულებანი. ავადმყოფობანი გულისა, ფილტვისა და სისხლის სპეციალურად. იღებს დილის 9—12 საათამ. გორის სამკურნალოში, დანარჩენ დროს სახლში. სამეფო ქუჩა ქალების გიმნაზიის პირდაპირ. 1571

## ექიმი ი. ი. ბერიშვილი

სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის ავადმყ.;** **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3 — $5^{1}/_{2}$ ს. ელისაბედის ქ., № 94, კიროჩნის ქუჩის ახლო, საფოსტო განყოფ. პირდაპირ. 102

**მიზეზების გამო** ღუქნის პატრონი

## საჩქაროდ ჰყიდის მაწარმოებლისა და ხილის დუქანს

**ძალიან იაფად. მისამართი:** დიდი ვანქის ქუჩა, № 9. პირობების გაგება იქვე დუქანში შეიძლება. 830

**კბილის**

## ექიმი ნინო რცხილაძე

**გადავიდა** მოსკოვის ქუჩა № 9. იღებს დილით 9—2 ს., საღ. 5—7 ს.

## საჭიროა

საშუალო განათლება მიღებული **ქართველი ქალი გამოცდილი მასწავლებელი,** ბინა ჩვენთან, 9 წლის ქალის მოსამზადებლად უფროსი მოსამზადებლიდან პირველ კლასში მისაღებად. ელისაბედის ქუჩა. № 117. იკითხეთ წერეთელი. 825

**დ ო ქ ტ ო რ ი**

## ი. ო. უკლადნიკოვი

ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობა. მიიღებს კვირა დღის გარდა დილით 9—10 ს. საღამოთი 6—$7^{1}/_{2}$ ს. კვირაობით 11—12 საათამდე. ოლღას ქ., № 22, ტელეფონი № 12—25. 751

## ექიმი ვ. მუსხელიშვილი

მიიღებს ავადმყოფებს დილის 9—$11^{1}/_{2}$ საათამდე. დიდი მთავრის ქუჩა № 67.


# ტფილისი, 24 ნოემბერი

**ქალთა თანასწორობა** ის დრო, როდესაც ქალი მხოლოდ თაყვანისცემის საგნად იყო გადაქცეული, დიდი ხანია ისტორიულ წარსულში დაიმარხა. თანამედროვე ხანამ, როდესაც მოქალაქეობრივი ცხოვრება განვითარდა, ქალიც ცხოვრების ახალ პირობებში ჩააყენა და სრულიად ერთნაირი როლი დააკისრა. სქესთა პრობლემას არ ვარჩევთ და ამიტომაც არ გამოვუდგებით დაწვრილებით განხილვას იმისას, თუ რაში უნდა გამოიხატებოდეს დედა-კაცის დანიშნულება. ჩვენ აღვნიშნოთ მხოლოდ ფაქტს—რომ ქალი დიდიხანია სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე გამოვიდა და მამაკაცთან ერთად ეწევა არსებობასთან ბრძოლის ძნელ უღელს. ასეა ეს არამც თუ დასავლეთ ევროპაში; ასეა ჩვენშიაც. დაირღვა პატრიარქალური ოჯახი და მასთან ერთად ფესვი გაუხმა იმ შეხედულებასაც, რომელიც ქალს კარჩაკეტილ პირობებში ამყოფებდა. პატრიარქალურ ცხოვრების პირობებიდან განთავისუფლებული და საერთო სამოქალაქო ცხოვრების ასპარეზზე გამოსული ქალი უკვე გათანასწორებულია მამაკაცთან შრომაში. საჭიროა იგი განთავისუფლდეს უფლებითაც. ამ რამდენისამე ხნის წინად საკითხი ქალთა გათანასწორებისა კაცებთან მოქმედების ერთს დარგში,—სახელდობრ, ვექილობაში,—პრაქტიკულად კიდეც აღიძრა, მაგრამ სახელმწიფო საბჭომ კანონ-პროექტი უარჰყო. ყველას კარგად უნდა ახსოვდეს ქალთა თანასწორობის მოწინააღმდეგეთა საბუთები. როდიჩევის თქმისა არ იყოს, თითქმის ყველა მოწინააღმდეგენი ემყარებიან არა საბუთებს, არამედ ტრადიციით გადმოცემულ და აღზრდით შეთვისებულ გრძნობებს. სწორედ მხოლოდ ასეთი ხასიათის საბუთები ისმოდა სახელმწიფო საბჭოშიც, რომელმაც კანონ-პროექტი უარჰყო.

ამ ტრადიციებსა და აღზრდას გაცილებით უფრო მეტი ძალა აქვს ჩვენში, საქართველოში. მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ დროთა მსვლელობით, როდესაც მოქალაქობრივი ცხოვრება უფრო წინ წავა, ქალთა საკითხსაც ჩვენში მარტო თეორეტიული მნიშვნელობა კი არ ექნება, არამედ მის გადაწყვეტას მოითხოვს თვით ცხოვრება და პრაქტიკული საჭიროება.

იქ, სადაც პოლიტიკური თავისუფლება საზოგადოდ სადავო აღარავისთვის გამხდარა, ქალები პოლიტიკურ თანასწორობასაც მოითხოვენ. არის დემოკრატიული ქვეყნები, მაგ., ახალი ზელანდია და ავსტრალია, სადაც ქალები უკვე გათანასწორებული არიან მამაკაცებთან პოლიტიკურადაც, სხვაგან, მაგ., ინგლისში კიდეც იბრძვიან ამ თანასწორობისთვის. რუსეთი, თუ მის საერთო პოლიტიკურ მდგომარეობას მივიღებთ მხედველობაში, იქნება ჯერ კიდევ შორს იყოს ამისაგან, მაგრამ დღევანდელ პოლიტიკურ პირობებშიაც კი შესაძლებელი გახდება ქალთა ზოგიერთ უფლებებს მოპოვება, თუ თანამედროვე საზოგადოება ძველს ტრადიციებს არ აჰყვება. ავიღოთ, მაგალითად, საქალაქო თვითმმართველობა და ქალების მონაწილეობა საქალაქო თვითმმართველობაში. ეხლანდელ მდგომარეობის თვალსაზრისითაც რომ შევხედოთ საქმეს, სახელმძღვანელოდ რომ გავიხადოთ ის, კონსერვატიულ წრეებში გამეფებული აზრი, რომ საქალაქო თვითმართველობაში მხოლოდ შეძლებული კლასი უნდა იღებდეს მონაწილეობას, მაშინ კი არავითარი საბუთი არა გვაქვს საქალაქო ცხოვრების გარეშე დავსტოვეთ ძალები, რომლებიც ძალიან ხშირად მამა-კაცებზე არა ნაკლებ არიან დაინტერესებულნი პირადად საქალაქო საქმეებით. ამიტომ მათი მონაწილეობა ქალაქის თვითმმართველობაში, ბიუროკრატიულ თვალსაზრისითაც კი, არავითარს საფრთხეს არ უნდა წარმოადგენდეს.

რა თქმა უნდა, საქალაქო თვითმმართველობაში მონაწილეობის მიღების უფლება ქალთა თანასწორობის საკითხის გადაწყვეტას არა ნიშნავს, მაგრამ მას მაინც მნიშვნელობა ექნება. როგორც უკვე ვსთქვით, უდიდესი მტერი ქალთა თანასწორობისა დრომოჭმული ტრადიციები და აღზრდით შეთვისებული ფსიხოლოგიაა. ყოველს ასეთს კერძო ცვლილებას, სხვათა შორის, ის მნიშვნელობაც აქვს, რომ არღვევს ამ შთამომავლობით გადმცემულ სულიერ განწყობილებას და აჩვევს საზოგადოებას იმ აზრს, რომ ქალთა თანასწორობა უქმი ხალხის მიერ გასართობად გამოგონილი საკითხი კი არ არის, არამედ ისეთი, რომლის გადაწყვეტასაც თვით პრაქტიკული საჭიროება მოითხოვს.

ქართველ ქალებსაც ემჩნევათ გამოფხიზლება. ზოგიერთ ადგილებში განსაკუთრებული ქალთა საზოგადოებანიც კი დაარსდა. ამ საზოგადოებათა უნდა შეითვისონ აზრი ქალთა თანასწორობისა. ხშირია ისეთი მოვლენა, რომ ამ აზრის შეთვისება სჭირდებათ არა მარტო კაცებს, არამედ ქალებსაც. ქართველ ქალთა საზოგადოებებმა ქალთა ამ გათვითცნობიერებას უნდა შეუწყონ ხელი. დღევანდელ პოლიტიკურ პირობებშიაც ბევრი რამ შეიძლება გაკეთდეს და, თუ ჩვენი ქალები არსებულ საშუალებებით ისარგებლებენ, ესეც კარგი საქმე იქნება.

# საზოგადოებრივი სათათბირო

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტო)

**22 ნოემბრის სხდომა.**

**როძიანკო** თავმჯდომარეობს.

განსახილველ საქმეთა სიაში არის საკანონმდებლო მოსაზრება 1890 წ. საეროობო დებულების შეცვლისა და საერობო გადასახადთა 97 მუხლის გაუქმებისა.

ნაკაზის პროექტის განხილვა გრძელდება. განსახილველია სათათბიროს საქმის წარმოებათა წესრიგის მუხლი. კამათი გამოიწვია მე-62 მუხლმა; ამ მუხლით, საკანონმდებლო მოსაზრებათა მიმართულების გამო შეუძლიან ილაპარაკოს ორმა მოსაზრების სასარგებლოდ და ორმა მის წინააღმდეგ. ლაპარაკის ვადა 10 წუთით განსაზღვრის წინააღმდეგ ლაპარაკობენ **შინგარევი, კერენსკი** და **პეტროვსკი.**

სათათბირომ 10 წუთით განსაზღვრა მიიღო. რამდენიმე მუხლი კომისიის რედაქციით მიიღეს.

ხანგრძლივ კამათის შემდეგ სათათბირომ დაათავა სათათბიროს საქმის წარმოებათა წესრიგის განხილვა. სათათბიროში შეუდგა ხარჯის გაწერის პროექტის განხილვის წესრიგზე მსჯელობას.

ამ განყოფილების რამდენიმე მუხლი მიიღეს და გადავიდნენ სწრაფ შეკითხვის განხილვაზე. შეკითხვა შინაგან საქმეთა მინისტრისადმი არის მიმართული ადმინისტრაციის მიერ მუშათა საპროფესიო კავშირების დევნის გამო.

**ხაუსტოვი** შეკითხვის სისწრაფეს იცავს.

**კუზმინი და ნოვიცკი** შეკითხვის სისწრაფეს უარჰყოფენ.

**ალექსანდროვი** შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს. სათათბირომ სისწრაფე ხმის უმეტესობით უარჰყო. წინადადება შეიტანეს დაენიშნოს კომისიას ორი კვირის ვადა ამ შეკითხვაზე მოხსენების წარმოსადგენად.

წინადადებას იცავენ **მალინოვსკი** და **პეტროვსკი.** სათათბირომ წინადადება უარჰყო.

წაიკითხეს ოქტომბრისტთა წინადადება: მიეცეს საფინანსო კომისიას სამი კვირის ვადა, რათა მოხსენება წარმოადგინოს ფინანსთა მინისტრის კანონ-პროექტის მერვე განყოფილების გამო ერობათა და ქალაქების ფინანსიურ მდგომარეობის გაუმჯობესების თაობაზე.

წინადადება მიიღეს.

სათათბიროს თავმჯდომარის არჩევა სამშაბათისთვის გადაიდო.

**საღამოს სხდომა.**

თავმჯდომარეობდა ჯერ **როძიანკო,** შემდეგ **კონოვალოვი.**

შინაგან საქმეთა და იუსტიციის სამინისტრონი განმარტებას იძლევიან მეოთხე სათათბიროს არჩევნების დროს მთავრობის მიერ უკანონო მოქმედების თაობაზე.

**შინაგან საქმეთა მინისტრის ამხანაგი ზოლოტარევი.** 35 შემთხვევაში, რაც სათათბიროს კომისიამ წარმოუდგინა სამინისტროს, მხოლოდ ექვსი შემთხვევაა კანონის დარღვევისა. მინისტრის ამხანაგმა ამ აზრის დასამტკიცებლად დიდხანს ილაპარაკა.

**ილაპარაკა აგრეთვე იუსტიციის მინისტრის ამხანაგმა ვერიოვკინმაც.**

სათათბირომ განმარტების განხილვა სხვა დროისთვის გადადო. სათათბირო შეუდგა სამხედრო მინისტრის განმარტების განხილვას სამხედრო-სამკურნალო აკადემიის ახალ დებულების გამოცემის თაობაზე.

**გოდნევს** მოჰყავს ძირითად კანონის დებულებანი და აღნიშნავს, რომ სამხედრო სამინისტროს არავითარი უფლება არა ჰქონდა საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუდასტურებლივ წარედგინა სამხედრო საბჭოს დადგენილებანი უმაღლესად დასამტკიცებლად. სამხედრო-სამკურნალო აკადემიის დებულებანი გამოიცა კანონმდებლობითი გზით და მხოლოდ ამ გზითვე შეიძლება შეიცვალოს იგი. გოდნევმა აღნიშნა სამხედრო მინისტრის მიერ კანონის დარღვევა და ოქტომბრისტთა სახელით შემდეგი ფორმულა შეიტანა· სათათბირო იღებს რა მხედველობაში, რომ სამხედრო-სამკურნალო აკადემიის დებულებათა შეცვლა საკანონმდებლო დაწესებულებათა დაუდასტურებლივ კანონის დარღვევაა, სამხედრო მინისტრის განმარტებას არა სცნობს დამაკმაყოფილებლად და მორიგ საკითხთა განხილვაზე გადადის“.

ფორმულა 139 ხმის უმეტესობით, წინააღმდეგ 78-ისა, სათათბირომ მიიღო.

შემდეგი სხდომა 26 ნოემბრისთვის არის დანიშნული.

# ახალი ამბავი

**ტფილისი**

✦ როგორც დეპეშათა სააგენტო იტყობინება, **მეფის მოადგილეს** ჩეჩენთა ხალხის უხუცესთა დეპუტაცია წარუდგა ზელიმ-ხანის მოკვლის გამო მადლობის გამოსათქმელად. დეპუტაციამ სიამოვნება გამოსთქვა, აგრეთვე მეფის მოადგილის მიერ შემუშავებულ კანონ-პროექტის გამო მთის მცხოვრებთა მიწის მფლობელობის მოწესრიგებაზე. დეპუტაცია შუამდგომლობს მეფის მოადგილის წინაშე: 1) გაიღოს ხაზინამ ფული ჩრდილო კავკასიაში სამრეწველო ხასიათის რუსულ სკოლების დასაარსებლად, რათა ამ საშუალებით მთის მცხოვრებნი დაეწაფნენ რუსეთის კულტურას, 2) მოეწყოს მთის მცხოვრებთა სასულიერო მართვა-გამგეობა, 3) ნდობის ნიშნად შემოიღონ სამხედრო ბეგარა მთიელებისათვის და მოაწყონ ჩეჩენთა საგანგებო ცხენოსანთ ლაშქარი, რაც ხელს შეუწყობს ახალგაზდათა აღზრდასაო.

✦ **დეპუტაცია მეფის მოადგილესთან.** გუშინ, ნაშუადღევის 3 საათზე, მეფის მოადგილეს წარუდგა კავკასიის ქალაქთა წარმომადგენელთა დეპუტაცია და მადლობა გადაუხადა კრების მოწვევის ნების დართვისა და კრების საპატიო თავმჯდომარეობის მიღებისათვის. დეპუტაციაში იყვნენ: ტფ. ქალაქის მოურავის მოადგილე თ-დი ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ქუთაისის ქალაქის მოურავი ი. მ. ჩიქოვანი, შუშის ქალაქის მოურავი გ. ს. ქალანთაროვი, მაიკოპის ქალაქის მოურავის მოადგილე ს. მ. ტარასოვი, კავკავის ქალაქის მოურავის მოადგილე ნ. ა. პოლიაკოვი, ახალციხის ქალაქის მამასახლისი გ. ნ. მოსესოვი, ახალქალაქის მამასახლისი ო. კ. მელქუმოვი და ბათომის ქალაქის გამგეობის წევრი რ. ბ. ნიჟარაძე.

✦ **ქალაქის სასალახო** გამგის გ-ნ ლანგის ცნობით, წელს ქალაქის სასალახოში დიდძალი ღორი იკვლის. უკანასკნელ ერთის თვის განმავლობაში დაუკლავთ 2,120 სულით მეტი, ვიდრე შარშან ამავ ხნის განმავლობაში.

✦ **ხორცის ნიხრი.** 22 ნოემბერს ქალაქის საბჭოს სამეურნეო კომისიის კრება მოხდა ხორცის ნიხრის გადასათვალიერებლად. ნიხრის გადათვალიერება გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ ტფ. ყასბებმა ქალაქის გამგეობის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, საკლავი საქონელი ამ ჟამად ისე ძვირად ღირს, რომ დღევანდელი პატარა ნიხრი დიდს ზარალს გვაძლევსო. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, რომ ამ ჟამად საკვების უქონლობის გამო ტფილისში გასასყიდად იმდენი საქონელი წამორეკეს, რამდენიც არ მოურეკიათ ამ უკანასკნელ ოცის წლის განმავლობაში; ამის გამო საქონლის ფასმა ძალიან დაიწია და საჭიროა შესაფერად ხორცის ნიხრის დაკლებაც. სამეურნეო კომისიამ ეს გარემოება მხედველობაში არ მიიღო და ხორცის ნიხრი გაადიდა ერთის კაპეიკით. ძროხის ხორცზე დააწესა: 12 კ. ნაცვლად 11 კაპ. და ცხვრისაზე: 14 კაპ. ნაცვლად 13 კაპეიკისა. ღორისა და კამეჩის ხორცის ნიხრი უცვლელად დასტოვა. კომისიის დადგენილება 25 ნოემბერს ქალაქის საბჭოს კრებას წარედგინება განსახილველად და უნდა ვიფიქროთ, რომ საბჭო ახალს ნიხრს არ დაამტკიცებს და სამეურნეო კომისიას ხელმეორედ გადასათვალიერებლად დაუბრუნებს.

✦ პოლიცმეისტერმა განკარგულება მოახდინა, რათა პოლიციამ ზომები მიიღოს ტფილისის მაზრის სამხედრო სამმართველოს ჯარის კაცის ტიხონ შაგიევის საპოვნელად.

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა დაადასტურა ტფილისის ქალაქის მიერ დაწესებული **ორი სტიპენდია.**

✦ განჯის სადგურის ჟანდარმთა სარკინისგზო განყოფილების უფროსი გ. ე. ვლასოვი თერგის ოლქში გადაიყვანეს. იმის ადგილზე გადმოიყვანეს გორის განყოფილების უფროსი ვალტერი, ხოლო ვალტერის ადგილზე—ქუთაისის განყოფილების უფროსი ლებედინცევი. უკანასკნელის ადგილზე კი პეტერბურგიდან გადმოიყვანეს როტმისტრი ე. ა. ტრეგილოვი.

✦ **პოლიტეხნიკუმის გარშემო.** ორშაბათს, 25 ნოემბრისათვის, საღამოს 7 საათზე ქალაქის გამგეობის სადგომში დანიშნულია მთავარ საპოლიტეხნიკუმო კომიტეტის კრება. კომიტეტმა უნდა განიხილოს პოლიტეხნიკუმის შენობის პროექტი. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ, პოლიტეხნიკუმის ადგილის არჩევას საკითხი ამ კომიტეტის ხელში არ არის. ამ საკითხს ამ დღეებში გადასწყვეტს თვით მეფის მოადგილე, რომელსაც უკვე წარედგინა მთელი მასალა საბურთალო-ნავთლუღის მიწების ღირსება-ნაკლულევანებების შესახებ.

✦ **ქალაქის სამხედრო საკრებულომ** 22 ნოემბერს შეამოწმა ის ახალგაზდანი. რომელნიც წელს სამხედრო ბეგარაში იყვნენ გაწვეულნი და მხოლოდ ახლა გამოცხადდნენ. სამხედრო სამსახურში ჩარიცხა 3 ახალგაზდა. ამ ჟამად კიდევ მისაღებია 76 კაცი. 22 ნოემბერსავე საკრებულომ სამხედრო სამსახურში ჩარიცხა 6 კაცი, რომელნიც მაზრებიდან იყვნენ სამხედრო ბეგარაში გაწვეულნი.

✦ **მფრინავი ი. ი. სედოვი** ტფილისში ჩამოვიდა და დღეს საჯირითო მოედნის გვერდით ფრენას მოაწყობს.

✦ **მეფის მოადგილეს** წარუდგა სახელმწიფო ბანკის ტფილისის განყოფილების დირექტორი კამერგერი დ. ვ. ბეზობრაზოვი.

✦ დღეს, **24 ნოემბერს,** მწირველნი არიან საქართველოს **ეგზარხოსი ალექსი** არქიელის კარის ეკლესიაში, ყოვლად სამღვდელო ეპისკოპოსი ანტონი სიონის საკათედრო ტაძარში ერევნის ეპ. პიმენი სამხედრო ტაძარში.

✦ **მარტყოფის მონასტერში** გუშინ გაემგზავრნენ წევრნი სასინოდო კონტორისა: არქიმანდრიტი პიროსი და დეკ. მ. ტყემალაძე ამ მონასტრის ქონების ჩასაბარებლად ახლად დანიშნულ წინამძღვრისათვის.

## საზოგადოებანი და კრებები

✦ **ქალაქის საბჭოს სასკოლო კომისიის** კრება 22 ნოემბერს მოხდა საქალაქო სკოლების სამაგალითო შენობათა პროექტის განსახილველად. კრებაზე მოწვეულნი იყვნენ: ვაჟთა მეხუთე გიმნაზიის დირექტორი ი. ს. ღულაძე, ქალაქის სასკოლო ექიმები და საქალაქო სკოლების გამგენი. კრებას ქალაქის ტეხნიკოსმა ჩისლიევმა წარუდგინა სამ სართულიან სასკოლო შენობების პროექტი, რომლითაც თვითეული შენობა 60,000 მან. დაჯდება. უპირველესად შენობის აგება განზრახულია ველაბარში დედათა საქალაქო პირველ-დაწყებით სკოლებისათვის. კრებამ პროექტი მოიწონა. ამის შემდეგ კრებამ დაადგინა, სკოლებში ცენტრალური გათბობა არ მოაწყოს, რადგანაც ძვირად ჯდება.

✦ **მევენახეობისა და მეღვინეობის** კომიტეტმა 20 ნოემბერს კორვინ-პავლოვსკის თავმჯდომარეობით. ამოირჩია კომისია, რომელიც თელავის მაზრის სოფ. კონდოლში ამერიკულ ვაზის სანერგისათვის მწარე ვაზს შეამოწმებს, კომისიაში არიან: პ. ნ. ავერკინი, თ-დი ა. ს. ვახვახიშვილი, მ. ა. ვერმიშევი, ა. ლ. ტერ-არუთინოვი, ვ. ი. ვისნიოვსკი, ნ. კ. მაკარაშვილი და ლ. ი. გოგნიაშვილი. გორის მაზრაში ალაიანის სანერგისათვის კომისიაში აირჩიეს: ს. ნ. ყაზახაშვილი, ვ. ი. რცხილაძე, ვ. ი. ვისნიოვსკი და ე. ო. იოსელიანი.

✦ გუშინ მოხდა ტფ. გუბერნიის **ღარიბ მოწაფეთა დამხმარე საზოგადოების წევრთა საზოგადო კრების გაგრძელება.** კრებამ განიხილა ქალთა სკოლის სამზრუნველო საბჭოს ინსტრუქციის მუხლების უმრავლესობა. კრების გაგრძელება მოხდება ორშაბათს, საღამოს რვა საათზე, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში.

✦ **ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების** წლიურ კრების გაგრძელება დანიშნულია დღეისთვის, დილის 11 საათზე, ახალ კლუბის შენობაში.

✦ **ღარიბ მოსწავლეთა დამხმარებელ თავად-აზნაურთა საზოგადოების** კრება დანიშნულია 25 ნოემბრისათვის, საღამოს 7 საათზე თავად-აზნაურობის დეპუტატთა საკრებულოს სადგომში. განსახილველია საკითხი საქალებო სკოლის ტიპის შემუშავების შესახებ.

✦ **ქალაქის საბჭოს** მორიგი კრება დანიშნულია ორშაბათ, 25 ნოემბრისათვის. განსახილველი აქვს 20 საქმე, მათ შორის: 1) ხმოსანთა ერთის ჯგუფის განცხადება იმის შესახებ, რომ მეფის მოადგილე გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი ტფილისის საპატიო მოქალაქედ იქმნეს არჩეული, 2) ქალაქის გამგეობის მოხსენება ვერის პარკიდან ქვიშის გაზიდვის შესახებ, 3) ქალაქის გამგეობის მოხსენება იმ ცნობათა შესახებ, რომელიც სამინისტროს სჭირდება საქალაქო დებულების შეცვლის პროექტის შესადგენად, 4) გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ მღვდელს ელიზბარაშვილს ჩამოერთვას ქუჩის გასაფართოვებლად მიწა და სახლი ბელინსკის ქუჩისა და „კირპიჩნი“ მისახვევის კუთხეში, 5) გამგეობის მოხსენება მტკვრის მარჯვენა ტოტის ამოვსების შესახებ და 6) ქალაქის გამგეობის პასუხი ხმოსნების ლუნკევიჩისა, გ. ნ. კეილისა და გ. ს. თოიძის შეკითხვებზე, რომელიც შეეხება ბერკოვიჩისა და მანთაშევის სახლებს.

# პედაგოგიური თაღლითობა

ქართველი საზოგადოება უეჭველია იცნობს ერთს წყვილს, რომელიც ამ რამდენიმე ხნის წინად პედაგოგის სახით მოევლინა ქართულ სკოლას. ბ-ნ ზედგინიძესა და ჯაფარიძეზე მოგახსენებთ. ამ პედაგოგიური დეკადანსის მოციქულებმა ორი სახელმძღვანელო უძღვნეს სკოლას და, ჩვეულებისამებრ, დამსახურებულ ჯილდოს მისაღებად თითო ცალი თავიანთი შრომისა ჩვენს რედაქციასაც უძღვნეს. რედაქციამ, შეძლებისა დაგვარად, დააჯილდოვა პედაგოგები. ბ-ნნი ჯაფარიძე და ზედგინიძე კმაყოფილნი არ დარჩნენ ჯილდოთი და მორთეს უშნო დუეტი ვოსტორგოვის ჰანგზე. კილო ოლიმპის მცხოვრებლებისა აქვთ, კადნიერება ისეთი ადამიანისა, რომელსაც ჰგონია, ისეთს სულელებში ჩავარდა, რომელთაც ორმაგი ბუღალტერიისა არაფერი გაეგებათ. მე მგონია, პატივცემული პედაგოგები მოტყუებული ბრძანდებიან. პედაგოგია ისეთი რამ არის, სადაც თაღლითობა ყველაზე ნაკლებად იმალება. ბავშვების აღზრდაც იმდენად წმინდა საქმეა, რომ ყველას, ვინც კი ქუჭყიანი განზრახვით მიეკარება მას, ზედაპირზე ამოტივტივებს. რად ეგონათ ახლად მოვლენილ პედაგოგებს, რომ მათი ქუჭყიანი განზრახვა დაფარული დარჩებოდა, და ქართველი საზოგადოება ვერ დაინახავდა, მათი სახელმძღვანელოს სახით რა საწამლავს აწვდიდნენ ქართველ ბავშვს? საინტერესოა განმარტება იმ მოტივებისა, რომლებითაც ხელმძღვანელობდნენ, თურმე, ეს ბრძენი პედაგოგები: „დღევანდელ სკოლაში სწავლა სწარმოებს ჩვენთვის უცხო რუსულს ენაზე—ბრძანებენ პედაგოგები.—ბავშვს ესაუბრებიან განსაკუთრებით ქართულად პირველ 3—3 ნახევარ თვეს; შემდეგ ლაპარაკში ერევა რუსული ენა, რომელზედაც თანდათან გადადის მთელი სწავლა. ასეა სოფლად. ხოლო ქალაქებში: გიმნაზია-პროგიმნაზიებში, სამოქალაქო სასწავლებლებში, სხვა და სხვა კერძო თუ სახაზინო სკოლებში ხშირად ამასაც ვერა ვხედავთ: სწავლა პირველ დღიდანვე სწარმოებს რუსულად, ხოლო დედა-ენას, თუ ასწავლიან, დათმობილი აქვს კვირაში რამდენიმე გაკვეთილი, ხშირად ისიც მხოლოდ დაბალ კლასებში. ასეა დაყენებული სწავლა-აღზრდის საქმე ჩვენში დღეს. ჩვენ აქ იმის დაფასებას არ შევუდგებით, რამდენად სამართლიანია და რაციონალური, საერთო პედაგოგიის თვალსაზრისით, ასეთი ნაადრევი შეჭრა და გაბატონება სასწავლებელში უცხო ენისა. ეს ამ წერილის საგანს არ შეადგენს. ჩვენ აღვნიშნეთ მხოლოდ ის, რასაც ვხედავთ და რასაც უნდა გავუწიოთ ანგარიში“.

მოტივი ფრიად საპატიოა, მეტი რომ არა ვსთქვათ. მაგრამ როგორ მოგწონთ მასწავლებელი, პედაგოგი, რომელიც არავითარ ანგარიშს არ უწევს იმას, თუ რამდენად პედაგოგიურია არსებული წესი სწავლა-აღზრდისა და თვის სახელმძღვანელოს უფარდებს არსებულ წესს, როგორც უცილობელ ფაქტს? ერთ დროს ვოსტორგოვიც ფაქტი იყო, უფრო დიდი ფაქტი იყო და არის მუნჯური მეთოდი. რაღას უცდით? დაუხატეთ ტაში ერთსაც და მეორესაც როდესაც ამისთვის დამსახურებულ ჯილდოს მიიღებთ, დასწერეთ, ჩვენ ვერ შევალთ იმის გამორკვევაში, თუ რამდენად რაციონალურია პედაგოგიის მხრით მუნჯური მეთოდი და ვოსტორგოვის პოლიტიკანური ექსპერიმენტებიო. ეს პასუხი იქნებოდა ღირსეულ მასწავლებლის ღირსეული მოწაფეების პასუხი. ავტორებს თავიანთი შეხედულება, იქნება, ძალიან ორიგინალური ჰგონიათ, მაგრამ ეს ორიგინალობა სამინისტროს მოხელის ორიგინალობაზე შორს ვერ მიდის.

საინტერესოა კიდევ ერთი მოსაზრება, რომელიც ნათლად გვიჩვენებს, თუ რა ჯურის პედაგოგებთან გვაქვს საქმე. პედაგოგები სწერენ: „მტრულად დახვდა პირველ ნაწილს ჩვენი სახელმძღვანელოისას მხოლოდ განსვენებული ი. გოგებაშვილი (მაშინ მეორე ნაწილი არ იყო გამოსული) და შეაჩვენა, მუნჯური მეთოდით არის შედგენილიო; აგინებდა მასწავლებლებს ლევიტსკის, ვოსტორგოვს—ცხადია რისთვისაც. ამაზე თავის დროზე ღირსეული პასუხი მიიღო განსვენებულმა ბ. პედაგოგისაგან გაზ. „კოლხიდა“-ში. ცხოვრებამაც პასუხი გასცა: **წიგნი სწრაფად გავრცელდა არამც თუ ქართულსა, არამედ სომხის და თათრის სკოლაში**“ (ხაზი ჩვენია. ა. ჯ.) ამ უკანასკნელი გარემოებით ჩვენს ავტორებს თავი მოაქვთ. ნამდვილად კი სწორედ ეს გარემოება ამტკიცებს მჭერმეტყველურად, რომ სახელმძღვანელო არამც თუ კარგი. პირიქით, ძალიან მავნებელია. როგორ შეიძლება პირველ-დაწყებითი სახელმძღვანელო ერთნაირად კარგად გავრცელდეს ყველა ეროვნების სკოლაში და ამასთანავე ვსთქვათ, ეს სახელმძღვანელო კარგიაო. ეს მხოლოდ მუნჯურ მეთოდის საშუალებით შეიძლება და, ნურცა სწყინთ ბ.ნ ჯაფარიძესა და ზედგინიძეს, რომლესაც ეუბნებიან, თქვენი სახელმძღვანელო მუნჯური მეთოდის პრინციპზეა აშენებულიო. მხოლოდ ზეცსა და პოლიტიკანობით დაბრმავებულ ადამიანს შეუძლიან იამაყოს ისეთი გარემოებით, რომ ჩემი სახელმძღვანელო ყველა ეროვნების სკოლაში გავრცელდაო. პედაგოგიურ აქსიომად უნდა ჩაითვალოს, რომ ბავშვს მასალა ერთგვარის თანდათანობით უნდა მიაწოდოთ. ეს თანდათანობა მტკიცედ სისტემატიური უნდა იყოს და შემდეგს მოთხოვნილებას უნდა აკმაყოფილებდეს: ახლოდან შორეულზე, ნაცნობიდან უცნობზე, კონკრეტულიდან განყენებულზე, მარტივიდან რთულზე. თუ ეს მოთხოვნილება დაკმაყოფილებული არ არის, სახელმძღვანელო თავის მიზანს ვერასოდეს ვერ მიაღწევს და, სარგებლობის ნაცვლად, ვნებას მოუტანს.

აკმაყოფილებს თუ არა ამ მოთხოვნილებას ბ-ნთ ზედგინიძისა და ჯაფარიძის სახელმძღვანელო? აპრიორულადაც, თვით ავტორების სიტყვის მიხედვითაც, შეიძლება ითქვას, რომ არ აკმაყოფილებს. ის, რაც მახლობელი და ადვილი გასაგებია ქართველისათვის, სრულიად დაშორებული და, მაშასადამე, გაუგებარია სომხისთვის, თათრისთვის. ის, რის წარმოდგენაც რთულ ფსიხოლოგიურ განცდას მოითხოვს თათრის ბავშვისთვის, სრულიად ადვილი გასაგები შეიძლება იყოს ქართველ ბავშვისთვის და პირიქით.

ამიტომაც არის, რომ პირველ-დაწყებით სახელმძღვანელოში ჭეშმარიტ პედაგოგებს და არა ისეთებს, რომელთა პედაგოგობაც უფროსის კალთაში იწყება და ფეხებთან თავდება, ისეთი მასალა შეაქვთ, რომელიც თვით ბავშვისთვის ნაცნობ ცხოვრების პირობებიდანაა ამოღებული. სწორედ ამიტომ სურათებიც უსათუოდ ბავშვის ნაცნობ მოვლენებს უნდა გვიხატავდეს. მეტსაც ვიტყვით. ცხოველებს რომ ჰხატავენ, მაშინაც მხოლოდ ისეთები უნდა დახატოთ, რანაირსაც ბავშვი იცნობს. ამ შემთხვევაში უკიდურესი პედანტიზმის დაცვაა საჭირო. ვერაფერს ამისთანას ბ-ნთ ზედგინიძისა და ჯაფარიძის სახელმძღვანელოებში ვერა ვხედავთ. გადმოშალეთ ეს სახელმძღვანელოები და თქვენ ერთბაშად გეცემათ თვალში რუსული სული და რუსული ატმოსფერო. ერთბაშად მიჰხვდებით, რომ სახელმძღვანელო დაწერილია **არა მხოლოდ რუსული ენის შესასწავლად**, არამედ **რუსული სულის** გასაღვივებლადაც. ნახეთ სურათები: Мать и дѣти, дѣдушка, სურათი, სადაც გუთანში ცხენია შებმული (ჩვენში ხარები და კამეჩები აბია გუთანში), Мышь! Мышь! Описаніе зимы, обработка поля, первая бороздa, на лугу лѣтомъ, და მრავალი სხვა. გარემოცული ბუნება, ტიპები სულ რუსულია. არამც თუ ჩვენი სოფლის ბავშვები, საქართველოს ქალაქების ბავშვებიც კი ასეთს ტიპებს ვერსად ნახავდნენ. სინდისის გასარეცხად, სწორედ მხოლოდ სინდისის გასარეცხად რამდენიმე სურათია ჩახჩირული ქართული ცხოვრებიდან და ისიც ისეთები, რომ სჯობდა არა ყოფილიყო; ვამბობ, ჩახჩირული-მეთქი, რადგანაც სასტიკ რუსულ ატმოსფერას ეს სურათები არღვევენ და დისონანსი შეაქვთ წიგნში, რომელსაც საზოგადოდ არაფერი ქართული არა აქვს. გასინჯეთ, მაგალითად, სურათი „Молотьба въ Закавказьѣ“. ვის უნახავს ძნა შუა კალოზე? მეტყვით, წვრილმანიაო, მაგრამ ბავშვის ფანტაზია მხოლოდ ასეთის წვრილმანებისაგან შესდგება. აიღეთ მეორე სურათი: „Приготовленіе чурчхелъ“. ასე ჩურჩხელებს არავინ აკეთებს. არც ახლად გაკეთებულ ჩურჩხელის დაჭერა შეიძლება ისე, როგორც ეს ერთს ბავშვს უჭირავს. ბავშვებმა ისიც კარგად იციან, რომ ახლად ამოვლებული ჩურჩხელა ცხელია, წვეთებს ენას არ შეუშვერს, გამოცდილებით იცის, რომ უსათუოდ ენას დასწვავს.

საჭიროება არ მოითხოვს, დიდხანს შევჩერდეთ სურათებზე. მხოლოდ ბრმა თუ ვერ დაინახავს, რომ სურათებში მხოლოდ რუსული სული ტრიალებს. სხვანაირად არც შეიძლება იყოს. ისეთი მასალაა შერჩეული, რომ მას მხოლოდ ასეთი სურათები შეეფერება.

ბ-ნნი ჯაფარიძე და ზედგინიძე მიჰყოლიან მოთხრობების გადმოცემას და გვიმტკიცებენ, თვითეულ მოთხრობაში მაღალ-მაღალ მატერიებზე ლაპარაკი, ბავშვებს კეთილშობილურ გრძნობებს უღვიძებს და ამიტომ ვერ გაგვიგია, რადა გვლანძღავენო. საწყალი გულ-უბრყვილო ბავშვები! მამა აბრამის ბატკნები არიან სწორედ! ეგ ლა გაკლდათ, რომ ბავშვებისთვის შედგენილ სახელმძღვანელოში კეთილშობილური აზრები არა ყოფილა. ტყუილად შეგიწუხებიათ თავი და ტყუილად გასჯილხართ მოთხრობების შინაარსის გადმოსაცემად. მოთხრობის აზრი თავისთავად შეიძლება მშვენიერიც იყოს, მაგრამ ამასთანავე ერთად სრულიად მიუწდომელი ამა თუ იმ ეროვნების ბავშვისთვის, თუ აზრი ბავშვისთვის ადვილად შესათვისებელ ფორმებში არ არის ჩამოსხმული.

ის, რასაც მე მოგახსენებთ, შეიძლება ითქვას სახელმძღვანელოს ორივე ნაწილის შესახებ, მაგრამ განსაკუთრებით კი პირველი ნაწილის შესახებ. იმის წარმოსადგენად, თუ რანაირ ყალბ მდგომარეობაში შეიძლება ჩავარდეს ადამიანი, როდესაც მას ორპირფული პოზიცია უჭირავს, გვიმტკიცებს ზემოხსენებულ ავტორების მიერ შედგენილ სახელმძღვანელოს მეორე ნაწილის მეექვსე განყოფილება. „Родина“. სამშობლოს სიყვარული რთული გრძნობაა, მისი გამოწვევა ბავშვების გულში შეიძლება არა განყენებული მსჯელობით სამშობლოს შესახებ, არამედ კონკრეტიულს ფორმებში ჩამოსხმულ მხატვრულ სურათებით. ავტორებს, ალბად, უგრძვნიათ ეს და ამ ნაწილში მოუქცევიათ ისეთი მასალა სამშობლოს შესახებ, რომელიც განყენებულ მსჯელობის მეტს არაფერს შეიცავს. მართლაც, სხვანაირად როგორ უნდა მოქცეულიყვნენ? წიგნი ეგრედ წოდებულ „ინოროდცებისთვის“ არის განზრახული. ყველას კარგად მოეხსენება, რომ სამშობლო ქართველისა, სომხისა და თათრისა ერთი და იგივე არ არის. როგორ უნდა მოქცეულიყვნენ პედაგოგები, რომელთა გულსაც ფრიად ახარებს გავრცელება მათი სახელმძღვანელოებისა ქართულ, თათრულ და სომხურ სკოლებში? დაეხატათ ქართველების სამშობლო, თათრებისთვის იქნებოდა გაუგებარი, დაეხატათ სომხებისა, ქართველი ბავშვი ვერაფერს გაიგებდა. ავტორებსაც დაუხატავთ სამშობლო დროისა და სივრცის გარეშე. შეიძლება ბ-ნთ ჯაფარიძისა და ზედგინიძის სამშობლო სწორედ ასეთიც იყოს, მაგრამ ბავშვმა რა დაშავა?

ასე იცის ყალბმა პოზიციამ. იქ, სადაც პედაგოგები „ანგარიშს“ უწევენ არა პედაგოგიურ ჭეშმარიტებას, არამედ „ფაქტს“, თუნდაც ეს ფაქტი ყოვლად მახინჯი იყოს, უკეთესს არაფერს არ უნდა მოველოდეთ.

**არ. ჯ—შვილი.**

# საქართველოს მთლიანობა

(სტატისტიკური შენიშვნა)

„სახალხო გაზეთის“ № 1005-ის (29 ენკენ.) მეთაურ წერილიდან „სატერიტორიო საკითხი“ არ. ჯ—შვილისა) სჩანს, რომ ვინმე ნარიძე გაზეთ „მერცხალში“ ამტკიცებს საქართველო მთლიანს ორგანიზმს აღარ წარმოადგენს, თვინიერ ქუთაისის გუბერნიისაო. და ყოველსავე ამის ავტორი ციფრებით (და მხოლოდ ციფრებით) გვიმტკიცებს (რამდენადაც ეტყობა იმ ამონაწერიდან, ბ-ნი არ. ჯ—შვილი რომ იმოწმებს).

როცა ასეთნაირად ლაპარაკობს უცხო ვინმე, რომელიც აღარც ჩვენს ქვეყანას იცნობს, აღარც ჩვენს ხალხს, აღარც მისს რაოდენობას, ან როცა ასეთნაირად ლაპარაკობს მტერი და სივის მდომი ჩვენის ქვეყნისა, ასე იქნება თუ ისე, ეპატიევება. გარნა როდესაც მხოლოდ მტრის პირით სათქმელს ქართველი, ქართველის პურ-მარილით გაზრდილი კაცი ლაპარაკობს, პირდაპირ გასაოცარია, მეტი რომ არა სთქვას კაცმა...

ბ-ნი ნარ. ძე გვეტყვის, თვით ციფრები ღაღადებსო. მეც სწორედ ამ ციფრებთან გახლავართ და მსურს ვაჩვენო ბ-ნს ნარიძეს, თუ რამდენად სამართლიანად დაემყარა ციფრებს და ან რა ხასიათის ციფრები მიაწოდა მკითხველს თვისის აზრის გასაღებლად.

ბ-ნი ნარიძე იმოწმებს 1897 წლის აღწერილობას (შეუძლო კი, ღვთის წინაშე, უახლეს სტატისტიკისათვის მიემართნა) თანახმად ამ აღწერილობისა, სოხუმის ოლქში 106,179 მცხოვრებთა შორის ქართველი სულ 25,873 სული ყოფილა.*) ემყარება რა ოფიციალ (რუსულ) სტატისტიკას, იმასთან ერთად ბ-ნს ნარიძეს საჭიროდ აღარ მიაჩნა მოიხსენიოს ის 56,000 ათასი სამურზაყანოელი, სწორედ 1897 წელს რომ ითვლებოდა აფხაზეთ-სამურზაყანოში (სოხუმის ოლქი). თუ სტატისტიკის შემდგენელმა ბიუროკრატიამ არ მოიხსენია ამდენი ქართველობა, არ მოიხსენია, მრავალ სხვა მიზეზთა შორის, თვისის უცოდინრობითაც. ამიტომ მისგან არც უნდა გვიკვირდეს-რა. მაგრამ რაც გასაკვირველი არ არის ბიუროკრატიისაგან, ამისავე ჩადენა ქართულ ასოებით მწერალ ავტორისათვის პირდაპირ შეუნდობარია, დანაშაულებად ჩასათვლელია. ადვილად შეიძლება ბ-ნმა ნარიძემ არ იცოდეს თვით სამურზაყანოელთა არსებობაც და, მით უმეტეს, მათი ქართველობაც. მაგრამ თვითონ სიმძიმე იმ საგნისა, რომელსაც ასე ადვილად და თითქმის ერთის კალმის მოსმით სწყვეტავს, ავალებდა ბ-ნს ნარიძეს წაეკითხნა სწორედ ქართველთა სტატისტიკას შესახებ დაწერილი მცირე შენიშვნა ჩვენი „სახალხო გაზეთის“ № 976-ში (24 მარ.) დაბეჭდილი.*) ხსენებულ შენიშვნაში სწორედ რუსის ბიუროკრატიის მიერ უკუღმართ შედგენილ სტატისტიკის ამ ნაწილის (სამურზაყანოს შესახებ) შესწორება გვქონდა აზრად. ეს შენიშვნა რომ წაეკითხნა ბ-ნს ნარიძეს, დაინახავდა, რომ აფხაზეთ-სამურზაყანოში (სოხუმის ოლქი) ქართველების რიცხვი ყოფილა 90.640, ე. ი. მთელის მხარის 167,375 მცხოვრებთა ნახევარზე მეტი!

ჩვენდა სამწუხაროდ, ხელთ არა გვაქვს ამგვარი ზედმიწევნილი ცნობები საინგილოსა, სამცხე-სათაბაგოჯავახეთის, აჭარა-ქობულეთისა და საზოგადოდ აწინდელ ბათომის ოლქში მოქცეულ ძველ საქართველოს პროვინციების (შავშეთი, იმერხევი, კლარჯეთი და სხ.) მცხოვრებთა შესახებ. ბ-ნ ნარიძეს კარგად უნდა მოეხსენებოდეს, რომ რუსული სტატისტიკა ქართველებად უკეთეს შემთხვევაში მხოლოდ მართლმადიდებელ ქართველებსა სცნობს. მაჰმადიანი ქართველი კი მისთვის **თათარი**. აგეთივე ბედი ადგას ქართველ-კათოლიკეთაც. ოფიციალურად ლამის არის აღარ იქმნეს ცნობილი არსებობა ქართველ-კათოლიკეთა. მაგრამ ქართველ კაცს არ ეპატივება რუსის ბიუროკრატიას გვერდით ამოუდგეს, მის მიერ უვიცი და განგებ დამახინჯებულად შედგენილი სტატისტიკით ხელმძღვანელობდეს და რეალურად მთლიანს ერს ნაწილებად ჰფლეთდეს.

*) „კავკასიის კალენდრის“ მიერ გამოქვეყნებულ 1911 წლის სტატისტიკიდან კი სჩანს, რომ ამ 1911 წ. ქართველთა რიცხვი ხოხუმის ოლქში უდრიდა 27,088 სულს. საკვირველია, რომ 15 წლის განმავლობაში ქართველობას, მხოლოდ 1,205 სულით უმატნია! როგორღაც დაუჯერებელია...

*) ამისთანა ცნობებს რად ძიებმართავს ადამიანი, რომელიც მხოლოდ იმ ბოროტი გრძნობით არის გატაცებული, რომ დაამტკიცოს, საქართველო აღარ არის, არამედ მხოლოდ ქუთაისის გუბერნიაო. ვაი თუ ამნაირმა ცნობებმა წინააღმდეგი დაამტკიცოს და მაშინ რაღა უნდა ჰქნას საწყალმა ნარიძემ?

**რედ.**

# ინდოეთის თანამედროვე მგოსანი

**რაბინდრანათ ტაგორი.**

წელს ნობელის დიდი პრემია ლიტერატურაში მიიღო ინდოეთის მგოსანმა რაბინდრანათ ტაგორმა. ეს უცხო და შორეული მწერალი (რაბინდრანათ ტაგორი ევროპაში სულ უცნობი იყო) ინდოეთის ძველის ცივილიზაციის ევროპასთან დაახლოვების ნაყოფია. რაბინდრანათ ტაგორის სახით კაცობრიობას კვლავ განეცხადა დიდი შემოქმედი ნიჭი ქვეყანაზე უძველესის ხალხისა. განეცხადა იმავე მიუწვდომელის სიღრმით და შეუდარებელის დიდებულობით, როგორც წინად იყო გამოცხადებული „რიგ-ვედას“ ღვთიურ ფურცლებზე! რაბინდრანათ ტაგორის პოემები შესადარებელია განსაცვიფრებელ „უპანიშადებთან“, ამ ვედას წიგნების სიბრძნის უკვნობელ ყვავილებთან!

ქართველ მკითხველ საზოგადოებისათვის უცნობი არ არის ძველი ინდოეთის სულიერი განძი. განსვენებულმა არჩილ ჯორჯაძემ მშვენიერი წერილები უძღვნა მას და ჩვეულებრივის ნათელ-გამოთქმით გადმოსცა და გაარკვია ინდოეთის სიბრძნის ძირითადი ხასიათი (იხ. არჩ. ჯორჯაძის თხზულებანი, ნ. 3, „ინდოეთის სიბრძნე.“).

გარნა საქართველოში წინადაც, ძველად, იცნობდნენ ინდოეთის შემოქმედებას.—„ქილილა და დამანა“ ეს ის მარგალიტია, რომელმაც თვისი უქრობელი სხივი უთვალავ საუკუნეთა წყვდიადან მოაშველა უკვდავს ეზოპოსს, ფრანგს ლაფონტენს და ჩვენს შესანიშნავ სულხან-საბაორბელიანს. შემოქმედ ნიჭის უნივერსალობისა და მარადისობის ეს საუკეთესო ნიმუში თარგმნილია მშვენიერ ქართულით ვახტანგ მეფის მიერ და წარმოადგენს სიბრძნის უშრეტს წყაროს. ამ წიგნს კარგად იცნობდნენ ჩვენი წინაპრები.

თავის თავად ცხადია, რომ „ვედას“ შემქმნელსა და ბუდდას წარმომშობ ხალხს უნდა დაეკვესა კვლავად სამსოფლიო ნათელი და თვისი სულის უშრეტი ძალა კვლავ დაენახვებინა კაცობრიობისათვის.

რაბინდრანათ ტაგორს, როგორც წმიდანს, ისე უცქერიან თავის სამშობლოში. აი, რა უთქვამს ერთს ინდოელს ირლანდიელ პოეტ Yeats-თვის*): „რაბინდრანათ ტაგორის შესადარებელს ჩვენ ამ ხანად არავინა გვყავს. ჩვენს დროს ეწოდება „რაბინდრანათ ტაგორის ეპოქა“. არც ერთი თქვენი (ევროპიელი) მწერალი ისე არ არის პოპულიარული თქვენში, როგორც ტაგორია ჩვენში... იგი ერთად-ერთი წმინდანია ჩვენი, რომელიც ცხოვრებას უარს კი არ გვაყოფინებს, არამედ გვაყვარებს მას!.. ამიტომ გვიყვარს იგი!“

რაბინდრანათ ტაგორი დაიბადა კალკუტაში 1861 წ. მისი გვარი ცნობილია ინდოეთში. რაბინდრანათ შვილიშვილია კალკუტის ცნობილის მთავრისა, დვარკანათ ტაგორისა, რომელიც თავის დროზე ინგლისის დედოფალის ვიქტორიის მეგობრად ითვლებოდა. რაბინდრანათის მამა დებენდრანათ ცნობილი ბრძენი იყო—„მაჰა რიში“ — რაც ნიშნავს დიდს ბრძენს. ტაგორების გვარეულობა შესანიშნავია იმით, რომ იმათგან ფილოსოფოსნი და სწავლულნი გამოდიოდნენ. ორი გამოჩენილი არტისტი ინდოეთისა ამ გვარს ეკუთვნის. თითონ რაბინდრანათის ძმა განთქმული ფილოსოფოსია!

19 წლისა ყოფილა რაბინდრანათ ტაგორი, როცა ოპერა დაუწერია. ეს იყო მისი დებიუტი ხელოვნების ასპარეზზე. ღირსშესანიშნავია, რომ რ. ტაგორი მუსიკოსიცაა. ოპერას მოჰყვა სასცენო პიესები, რომლებსაც ახლაც თამაშობენ კალკუტის თეატრებში. 29 წლისამ გამოაქვეყნა რომანი, რამაც დიდი სახელი მოუხვეჭა ავტორს თავის ქვეყანაში. 25—30 წლ. რაბინდრანათ ტაგორმა ბევრი სამიჯნურო ლექსი დასწერა. მისი მუსიკალური ლექსები დიდად გავრცელებულია ხალხში; ყველგან, სადაც კი ბენგალურს ლაპარაკობენ, ტაგორის ლექსებსაც მღერიან. ამ მხრით ეს შესანიშნავი მგოსანი მოგვაგონებს ჩვენს დიდებულს აკაკი წერეთელს, რომლის ლექსებსაც საქართველოს ყველა კუთხეში გაიგონებთ — უკანასკნელის გლეხის ოჯახშიაც, სადაც კი ჩონგური მოიპოვება! რაბინდრანათ ტაგორის უკანასკნელ დროის ნაწარმოებად ითვლება ინგლისურად თარგმნილი Gitanjali*), რომლისთვისაც ავტორს ნობელის პრემია ერგო. ეს თხზულება დასრულებულის ნიჭის ნაყოფია, რამდენად ხელოვნურია, იმდენად რელიგიურ-ფილოსოფიური. მას ინდოეთური აზროვნებისა და განსაკუთრებული მისტიური აღმაფრენის ბეჭედი აზის. საჭიროა აქვე აღვნიშნოთ, რომ რაბინდრანათ ტაგორი მიმდევარია ეგრედწოდებულის Brahmo-samaj-ის რელიგიურ-სოციალურ მსოფლმხედველობისა, რომელიც ფეხს იდგამს ინდოეთში მე-XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან. ეს მსოფლმხედველობა ძირითად ინტელექტუალურია და კრიტიკულია. ამბობენ, აღმოსავლეთის აზროვნება მით ქრისტიანისმს უახლოვდება, ამ უკანასკნელს იღებმოდელადო. მაგრამ ინდოეთის მცონენი უარყოფენ ამას. ამათ აზრით ქრისტიანული მონოთეიზმი ვერ პოულობს ნიადაგს ინდოეთში. Brahmo-samaj-ებს არა სწამთ ქრისტიანული დოგმები, ხოლო ქრისტეს, როგორც პიროვნებას, დიდს პატივსა სცემენ. ბრაჰმოისმის დანიშნულებაა ინდოეთის სღვთო წიგნების შესწავლა და ფართო მასაში გავრცელება. ამით ხსენებულ მიმართულებას სწადია სამშობლოს დიდებულ ცივილიზაციის აღდგენა და ხელახლად აჰყვავება. სწორედ ამ ნიადაგზე იბადება ახალი ლიტერატურა, რომლის საუკეთესო წარმომადგენელია რაბინდრანათ ტაგორი.

მართლაც „Gitnjali“ იმავე შეუდარებელ ფერადებით და სიბრძნით არს შემკული, როგორც ძველი ინდოეთის „წმ. წიგნები“. იგი ცხოვრებისა და მისის შემოქმედების ქებაა, ლექსების შეწირვა მსხვერპლად, როგორც თვითონ სათაური გვეუბნება. „Gitnjali“ თანამედროვე ადამიანის სულის ღვდელ-მოქმედებაა, ჭეშმარიტად მადიდებელი და ძოსავი.

აი ზოგიერთი ადგილი:*).

„რას გვეუბნება მგოსანი „ღმერთის“ შესახებ: (აღსანიშნავია, რომ რ. ტაგორი სიტყვას „ღმერთს“ სულაც არ ხმარობს, ან თუ ხმარობს ძალიან ძვირად. ეს დამახასიათებელია მისის მისტიცისმისა).

„—თქვენ ხომ გსმენიათ **მის**) ფეხთა უხმო სვლა?... **იგი**) ცხადდება, იგი ცხადდება ყოველგან და მარად!

„მე შევთხზე **ნაირფერ** გრძნობათა ნარნარი ლექსები, მაგრამ ჩემი ლექსების თვითეული ბგერა ღაღადებს მხოლოდ ერთს:—იგი ცხადდება, იგი ცხადდება ყოველგან და მარად!

„სურნელთა მფრქვეველ აპრილის მზიან დღესაც, ტყეში გაბნეული ბილიკთა გასწვრივაც,—იგი ცხადდება, იგი ცხადდება ყოველგან და მარად!

„ივლისის წვიმიან ღამის საშინელ ბნელშიაც,—ღრუბელთა შორის ქუქა-გრგვინვითა მქროლავ ეტლზედა,—იგი ცხადდება, იგი ცხადდება ყოველგან და მარად!“...

აი, ერთი საუკეთესო ადგილი:

**ღვთიური სინათლე.**

„სინათლე!!.. სად არის სინათლე?..—გაანათე მუნ მოუკლავ სურვილთა მგზნებარე ალით!

„აი, ლამპარიც უნაპერწკლო!... გულო ჩემო, იგი შენი ბედის წერაა!! მაგრამ ვაჰმე, რომ სიკვდილი შენთვის უძჯობესია!

„მომკლავმა სევდამ დაგიკაკუნა კარზე და გამცნო, რომ ბატონი შენი გიხმობს ღამის წყვდიადით!—ცა ღრუბლებით წაგრაგნულია. განუწყვეტლად წვიმს!

„—შფოთავს სული ჩემი! მე არ ვიცი რაა მაზეზი? ძრწის არსება ჩემი!.. მე არ ვიცი რისთვის არის ეს?..

... „აჰა, ნათელმა კვლავ განძიხათა დაბრმავებული თვალები! აჰა, სავალი ბილიკიცა, რომლით მიმიხმობს ღამის მუსიკა!—გული ჩემი შემკრთალია!

— „სინათლე!! სად არის სინათლე! გაანათე მუნ მოუკლავ სურვილთა მგზნებარე ალით!!

„გრგვინავს! ქარი ზუზუნებს გაშმაგებული! შავ-ქვასავით შავია დამე!..—ეცადე ჟამი არ შეერთოს უფსკრულის ზღვას!! აღანთე შენის ცხოვრებით ლამპარი სიყვარულისა!!

„სინათლე!.. ჩემი სინათლე!.. სინათლე, რომელიც აღავსებს ქვეყანას!.. სინათლე, რომელიც თვალებსა ჰკოცნის! სინათლე, რომელიც ამშვიდებს გულსა!..—

აჰა, სინათლე ალინთო ჩემში!..

„ზეცის კარი გაცაიღო!.. დაიმსხვრა ჯაჭვი შემბორკველი!.. მახლობელო ჩემო, ჰხედავ, სიხარული ქვეყნად ჩამოდის!

„პეპლები ფრთას ისწორებენ სინათლის სვეტზე!.. შროშანი იფურჩქნება სინათლის ტალღის ფაფარზე!.. სინათლე ოქროს წვიმად იფრქვევა, საყვარელო ჩემო, და ურიცხვ ძვირფას ქვებად იბნევა!..

„სიხარული ფოთლიდან ფოთოლზე დაფარფატებს, და ნეტარება უსაზღვროა. ცის სინათლის მდინარე თვის ნაპირთ აღავსებს. მათზე გადადის! და სიხარულის დასატევად მცირეა ეს ქვეყანა!!..—

„მაშ, დეე, აკორდმა სიხარულისამ ჩემს ჰიმნში ჰპოვოს თვისი სისრულე!—სიხარულმა, რომელიც ორ ტყუპს დას ქვეყნად ერთად აცეკვებს—სიცოცხლეს და სიკვდილს! სიხარულმა, რომელიც ქარიშხალს თან სდევს და ყოველს სულიერს აქარიშხალებს ცხოვრების დიად წყურვილით! სიხარულმა, რომელიც ჩასახულია მწუხარებზე აღმოცენებულ წითელ ლოტოსის ყვავილის ცვარშიაც და სიხარულმა, რომელიც მიწად ანარცხებს, ანიამტვერებს ყოველს, რაც აბადია და რაც დაუდგვარია განუკითხავად!!

*) ცნობები და სიტყვები მომყავს ფრანგულ ჟურნალებიდან. ირლანდიელ პოეტის Yeats-ის წინასიტყვაობით არის გამოცემული ინგლისურად რაბ. ტაგორის თხზულება „Gitajali“ (გიტანჯალი). Yeats დიდი თაყვანისცემელია რ. ტაგორისა. **ლ. ქ.**

*) ამ თხზულების სრულს თარგმანს ფრანგულზე ამ მოკლე ხანში მოელიან. მგონი, გერმანულზე უკვე გადაითარგმნა. რუსულზე მხოლოდ განზრახულია.

*) ფრანგულ ჟურნალებიდან ამოღებულია. როცა ფრანგულზე სრული თარგმანი გამოვა, ვეცდები ქართველ მკითხველს მივაწოდო ტაგორის ნაწერები.

**) იგულისხმე „ღმერთი“.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სტიკა სანდოდ აღიაროს და აჭარელი, ქობულელი, ინგილო და სხ. და სხ. ქართველთა რიცხვს არ მიათვალოს.

**თ. სახოკია.**

# სულის ძალთა წყარო

„რაც უფრო მეტი ხმაურობაა შენ გარშემო, მით უფრო მეტი დუმილი განავითარე გულსა შინა თვისსა“, ამბობს ბრძენი აღმოსავლეთისა, „და მგრგვინავი მოძრაობით აღსავსე ქალაქის დიდ ქუჩაზე მყუდრო გამოქვაბულის სიღრმეში მოკალათებულ განდეგილად იგრძენ თავი შენიო“.

არის დუმილი და დუმილი. რასაკვირველია ის ღრმა აზრიანი, მყუდრო მსოფლიო შეხედულებით აღსავსე დუმილი, რომელსაც ბრძენი გულისხმობს, შორსაა ჩვენგან, ქართველებისაგან.

გარეგნული შეუწყვეტელი ხმაურობით აღსავსე ჩვენი შინაგანი დუმილი არა-ღრმა აზრიანი, არა-ფილოსოფიურია, რასაკვირველია: იგი უფრო წააგავს იმედისაგან დაცარიელებულ გულის დუმილს; უფრო მოგვაგონებს იმ გამოქვაბულის სიღრმეს, სადაც არა ღრმად დაფიქრებული განდეგილი, არამედ მტკნარი ცარიელობაა გამეფებული.

ერთი სიტყვით, ჩვენ განათლებულ საზოგადოებაში პირველყოფილი სულიერი უძრაობაა დამკვიდრებული.

ჩვენზე ახლა სწორედ ის ითქმის, რაც უფალ ღმერთის გადმოცემით, ქალაქ ნუხის შესახებ უთქვამს, როცა რამდენიმე ათასი წლის შემდეგ ღვთისაგან შექმნილი დედა-მიწა დაუთვალიერებია; უნახავს სხვა და სხვა დიდი ქალაქები, რომელნიც ისე განვითარებულან და გამოცვლილან, რომ უფალს სრულებით ვერ უცვნია ისინი—ჩემი შექმნილი არ არიანო. როცა ნუხისათვის თვალი მოუკრავს, იმ წამსვე უთქვამს—აი ეს ქალაქი კი ჩემი შექმნილიაო; ისე უცვლელად დახვედრია იგი რამდენიმე ათასი წლის შემდეგ.

ჩვენი დალოცვილი ტფილისი ალბად ამ ღვთიური რევიზიის დროს, ეშმაკურად, თავის დასამალავად, ჩვეულ მტვერში გახვეოდა, თორემ უეჭველია უფალი ჩვენც დაგვინახავდა და, ჩვენზედაც იმას იტყოდა, რაც ქალაქ ნუხის შესახებ უთქვამს.

ჩვენ უეჭველია მაშინ გავიღვიძებთ, თუ ვინმე ამოძრავდა და გაგვაღვიძა. გარედან ველით მღვიძარე ძალას, მანამდე კი ტკბილად ვიძინებთ. ისტორიულ ჟამთა მსვლელობით ისე ვართ გაწაფულნი, რომ მხოლოდ გარეგნული ომის დროს ვცოცხლობთ, მხოლოდ გარეგნული მტერი გვწამს, ჩვენ გულში დაბუდებულ მტერს კი ვერ ვხედავთ და არ ვებრძვით. ამიტომაცაა, რომ ჩვენი სხვა და სხვა მიმართულების გაზეთები მხოლოდ ერომანეთზე იერიშის მიტანის დროს ცოცხლობენ; ადამიანის შინაგან მტერს კი ვერ სცნობენ და მის შესახებ სდუმან.

ცხოვრების ღრმა აზრიანი კანონის ძალით, როგორც თვითეული ადამიანი, ისე თვითეული ერი—თავისი ბედის გამომჭედია: რა ბედის ღირსია, სწორედ ის ეწევა ხოლმე.

ასე რომ ჩვენ ბატონებსაც სრული უფლება აქვთ სწორედ ის გვიპასუხონ, რაც ერთმა არა სასურველმა სტუმარმა იმ საზოგადოებას შესძახა, რომელიც მას მკვახედ დაუხვდა: „კარგი-კარგებთან გაგზავნეს, მე კი თქვენთან გამომგზავნესო“.

გარეგნული ჩვენი მდგომარეობა, ჩვენი შინაგანი სულიერი მდგომარეობის გამოხატულებაა. როცა ადამიანის სულში ღვთიური ნაპერწკალი არ ანთია, იმის კოჭებსაც ძალა არა აქვს, მუხლებიც ადვილად ეკეცება ამ ქვეყნიურ კერპების წინაშე, გარეგნული თავისუფლება—შინაგანი, ადამიანის სულში მომწიფებული თავისუფლების შეგნების შედეგია. აქედან წარმოსდგება ზნეობრივ საკითხის დიადი მნიშვნელობა ადამიანის ცხოვრებაში.

ბევრს ჩვენში ზნეობრივი საკითხი მშრალი ქადაგება ჰგონია, ეს საკითხი კი შინაგანი სულიერი ძალის საკითხია; იმ მტკიცე ღერძის შექმნას ეხება, რომლის გარშემო ადამიანის მთელი ცხოვრება ტრიალებს. ეს შინაგანი ხუროთ-მოძღვრებაა: როგორ ავაგოთ ჩვენი სულიერი შენობა ისე, რომ იგი შეუდრკად გაუმკლავდეს და გაუძლოს ამ ქვეყნის გრიგალს? ყველა მოწინავე ხალხში ზნეობრივ საკითხების გამორკვევას, ადამიანის სულის განვითარების ფილოსოფიას, უდიდესი ადგილი აქვს დათმობილი. მოწინავე ქვეყნის შვილმა კარგად იცის, რომ ადამიანისაგან შეთვისებული თვითეული ღრმა აზრი მისი სულის ვითარების შესახებ მაგარ დუღაბად ეწვეთება ამავე სალს ძალას, სიმტკიცეს ანიჭებს. მხოლოდ თავისი სულის ღრმა-აზრიან ვითარების მცოდნე ადამიანს შეუძლიან ამ სულის დაცვა გარეშე მტრისაგან. იმან კარგად იცის მაშინ, რა დაუფასებელი შინაგანი განძის პატრონია, და ეს ცოდნა გარეშე მტერთან ბრძოლის დროსაც უდიდეს მხნეობას ანიჭებს.

ჩვენ კი ვერა ვცნობთ თავსა ჩვენსა, ამიტომაც არ ვიცით, რა უნდა დავიცვათ. ჩვენი მხნეობაც, ჩვენი მარჯვენაც სწორედ ამიტომ უძლურ-უსუსურია.

როცა საგანს ღრმად დაუფიქრდებით, ვიწამებთ, რომ სოკრატის მცნება: „იცან თავი შენიო!“ დღესაც უშრეტ კანდელად სდგას კაცობრიობის ცხოვრებაში.

თავის ცნობა—საკუთარი ფიქრისა და გრძნობის, ადამიანის სულიერი ცხოვრების კანონთა გაცნობაა. საიდან იბადება ეს რაღაც უხილავი, ჰაეროვანი მოვლენა, რომელსაც ჩვენ სახელად ფიქრსა და გრძნობას უწოდებთ? რომელი ფიქრი და გრძნობაა შინაარსიანი, ღრმა შინაგანი ვითარების შემცველი და ამიტომ გამძლე, საუკუნო თვისების მქონე? რომელი ფიქრი და გრძნობაა ფუქსავატი, უნიადაგო და წარმავალი? რომელი ფიქრი და გრძნობა ანიჭებს ადამიანის სიცოცხლეს უდიდეს მნიშვნელობას, რუსთველის თქმისა არ იყოს —წარმოადგენს ჩვენ შინაგან „სავსებას“, „ალგვავსებს მზეებრ ფენითა“ და ამიტომ უდიდეს და უმაღლეს ნეტარებას ანიჭებს ჩვენ ადამიანურ სულს; დაუახლოვებს ღმერთს, თავისი სულის იდეალურ წყაროს? და რომელი ფიქრი და გრძნობა ამცირებს ადამიანს, თვალთა-ხედვის ასპარეზს ავიწროვებს, არ იქცევა წყაროდ სულიერი აღმაფრენისა და ადამიანს პირუტყვის დონეზე ამდაბლებს.

აი, სწორედ ამ ფიქრთა და გრძნობათა გაცნობა, შედარება-შეფარდება, მათი დაფასება და ცხოვრებაში სახემძღვანელოდ არჩევა—ადამიანის კრიტიკული უნარის საშუალებით— ჩვენი ცხოვრების უდიდესი საგანია, და სწორედ ამ დიად საქმეს, ამ ღრმა-აზრიან შინაგან მოღვაწეობას ჩვენ, ქართველები, სამწუხაროდ გაურბით. ამიტომაც ჩვენი ცხოვრებაც მდუმარე, დაუმუშავებელ უძრავ ნიადაგს ჰგავს, რომელსაც არ ესმის—რა შინაგანი სიმდიდრის შემცველია იგი. ჩვენი ცხოვრებაც სწორედ იმიტომ ბნელითაა მოცული, რომ არ გვსურს თავს ძალა დავატანოთ და ჩვენ სულში ჭეშმარიტების ძიების შინაგანი კანდელი ავანთოთ.

ჩვენც ადამიანები ვართ: ჩვენც შეგვიძლია გავიღვიძოთ.

**ილია ნაკაშიძე.**

---

„...—შეხმა*) მოციქულმა ჩემ გულისადმი—ნათელმა განთიადისამ—გამიხილა თვალები! სახე შენი მოიქცა ჩემდამი! ხედვანი შენნი თვალთა მწვდებიან და ფერნი შენი გულს მეხებიან!!“

* *

დასასრულ რაბინდრანათ ტაგორის ერთს პატარა chefs d'auvre-ზე შევაჩერებ მკითხველის ყურადღებას. იგი დაბეჭდილია ფრანგულ ჟურნალში („Les Annales“) და ყურადღებას იქცევს თავისი მომხიბლავი უბრალობით და ღრმა შინაარსით:

**მოცეკვავე ქალი.**

„ბუდდას ერთს მოწაფეს, უგაპონტას, ეძინა. ის იწვა მტვერში, ქალაქ მატურას გალავნის ძირში.

ქალაქის კარები დაეკეტათ და ცეცხლი ყველგან გაექროთ.—ცაში მარიამობისთვე ხმაურობდა, და ღრუბლებს ვარსკვლავები კალთის ქვეშ ამოეფარებიათ.

ანაზდეულად, მძინარ მეუდაბნოეს ახლო ვერცხლის საფეხო ბრასლეტმა დაიჟღარუნა და უგაპონტას მკერდს შეეხო.—ახალგაზდა მეუდაბნოეს უცბად გამოეღვიძა. წამსვე ჭრაქის შუქუტავმა სინათლემ მიანათა თვალებში. შეხედა,—მის წინ იდგა მოცეკვავე ქალი, რომელიც საკუთარის ახალგაზდობის ღვინოს დაეთრო. უცნობს ქალს გულმკერდი ათასის ფერის ძვირფას ქვებით ჰქონდა დამშვენებული და ოქროთერო მოსასხამში გახვეულიყო.

ქალმა ჭრაქი ძირს დასწია, რომ უგაპონტას სახე გაენათებინა. უგაპონტას კი სახე ლამაზი ჰქონდა, თუმცა მრისხანე.

—უკაცრავად, ახალგაზდა ანახორეტო!.. მაპატიე, რომ გამოგაღვიძე! —მიმართა მეუდაბნოეს მოცეკვავე ქალმა.—იქნება, ინებო ჩემსას წამოსვლა, რადგანაც ეს მტვრიანი გზა ლოგინობას ვერ გაგიწევს.

—გაიარე შენს გზაზე, მშვენიერზე უმშვენიერესო!—უპასუხა მეუდაბნოემ.—როდესაც მოვა დრო, მე თვითონ მოგნახავ და მოვალ!!.

უცბად დასჭექა. შავმა ღამემ წამით გამოაჩინა თავისი კბილები... მოცეკვავე ქალი შიშმა შეიპყრო!!.

* *

... ზამთრის ქარი კვლავ მძვინვარებს. ხის ტოტები სტირიან,—ფოთლები ცრემლად სცვივათ.

მალე გაზაფხულის საამო ნიავიც შორით მოფარფატდა. კალთები გაშალა ბუნებამ. ყვავილთა დღესასწაულის აღსანიშნავად ხალხმა ტყეს მიაშურა.

მძინარ ქალაქზე პირ სავსე მთვარეს ოქროს შუქები დაეფრქვია

ბუდდას მოწაფე უგაპონტა ქუჩაში მიდიოდა... ქუჩების გაყოლებაზე და ბაღებში ჩიტები გალობდნენ. უგაპონტა ყურს უგდებდა მათ ჭიკჭიკს. სიყვარულის ჰანგები ჩაესმოდა. მალე მიუახლოვდა იგი ქალაქის გასავალ კარებს. აქ უცბად თვალი მოჰკრა მან რაღაცას და შეფიქრდა.

„ნეტავი ვინ არის ეს ქალი, რომ მტვერში გდია უპატრონოდ?“ გაიფიქრა მან. მივიდა. ნახა ძონძებში გახვეული მოცეკვავე ქალი. იცნო.

—შავი ჭირი დამართნია საცოდავს და ქალაქიდან გაუძევებიათ იგი!

ახალგაზდა მეუდაბნოე თავთან დაუჯდა საშინელის ჭირის მსხვერპლს. აუწია თავი და თავის მუხლებზე ჩამოიდვა.. წყალი შეაფრქვია სახეზე მოსასულიერებლად. ზეთი წასცხო ტანზე.

—ვინ ხარ, გაჭირვებულთა ტკბილო ანგელოზო?—ჰკითხა კვნესით ქალმა, როცა ოდნავ მოსულიერდა.

—აი, დადგა დრო, როდესაც უნდა მოვსულიყავ შენთან და დაპირებისამებრ მოველ კიდეცა!—მიუგო ბუდდას მოწაფემ...“

**ლელ ქიაჩელი.**

*) იგულისხმე „ღმერთი“-ს.

---

# პოლიტეხნიკუმის ბედი

(დასასრული *)

**8) გზების გაყვანა ქალაქიდან ინსტიტუტამდე, საცდელ მინდვრამდე და სხვათა.**

ა) ნავთლუღში. გზის გაყვანა ქალაქის უახლოეს ქუჩიდან ინსტიტუტამდე 216 საჟენის მანძილზე და სიგანით 10 საჟ. დაჯდება 11,232 მან.

ბ) ინსტიტუტიდან საცდელ მინდვრამდე, მტკვრის პირას, 180 საჟენის მანძილზე სიგანით 6 საჟ.— დაჯდება 7,560 მანეთად.

კომისიის აზრით ამ გზის გაყვანა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს, რადგანაც ეხლანდელი გზა სრულიად უვარგისად არის ცნობილი.

გ) გზის გაყვანა ინსტიტუტიდან სასწავლებლის სამეურნეო ადგილებში, რომელიც ავლაბრის აგარაკში მდებარეობს, 1,150 საჟენის მანძილზე დაჯდება 40,475 მანეთად.

თუმცა ავლაბრის აგარაკი საბოლოოდ არ არის მოწონებული კომისიის მიერ, მაგრამ გზის გაყვანის ხარჯი მაინც უნდა ნავარაუდევი იყოს, რადგანაც შეიძლება ინსტიტუტის საბჭომ ეს ადგილი სამეურნეოდ მოიწონოს, ესეც რომ არ იყოს, ამ მიზნისათვის მაინც საჭირო იქნება გზის გაყვანა.

დ) ტრამვაის მოწყობა ინსტიტუტიდან ნავთლუღის ქუჩისა და კახეთის გზატკეცილის კუთხემდე დაჯდება 77,500 მანეთად.

ეხლა, ტრამვაის ლიანდაგი უდგება ძველ სასალახოს, სადაც განზრახულია ინსტიტუტის საცდელ მინდვრის მოწყობა. ამ მხრივ ხარჯი არ დასჭირდება, რადგანაც საცდელი მინდვრები ქალაქის საზღვრებშია.

სულ გზების გაყვანის ხარჯი ნავთლუღში 136,767 მანეთს უდრის.

**საბურთალოში.**

ა) გზის გაყვანა ქალაქის უახლოეს ქუჩიდან ინსტიტუტამდე (კადეტთა კორპუსის ახალ შენობიდან) 765 საჟენის მანძილზე, სიგანით 10 საჟ.— დაჯდება 153,775 მანეთად. ამ ხარჯში ნავარაუდევია ქუჩების მოკირწყვლაც, მდ. ვერაზე ხიდის გაკეთებაც და სხვა.

ბ) ინსტიტუტის საცდელ მინდვრებთან შეერთება განსაკუთრებულ ხარჯს არ თხოულობს, რადგანაც ერთი-ერთმანეთზე ახლო მდებარეობენ.

გ) ინსტიტუტისა და სამეურნეო ადგილის შეერთება გზით, რომელიც ლისის აგარაკში მდებარეობს, დაჯდება 73,405 მანეთად.

დ) წყნეთის ქუჩის ბოლოდან ტრამვაის გაყვანა დაჯდება 228,000 მან.

კერძო მეპატრონეთა მიწის ჩამოჭრა ამ გზისთვის დაჯდებ—91,200 მ.

სულ გზების გაყვანის ხარჯი საბურთალოში უდრის 546,380 მან.

**9. ფინანსიური ვარაუდი.**

1. რადგანაც კომისიას არა ქვს გამოანგარიშებული ინსტიტუტის შენობის ასაგებად დაწვრილებითი ხარჯთაღრიცხვა, კომისია იღებს ოლქის მზრუნველის პროექტს, რომლითაც ეს ხარჯი უდრის—2,633,370 მანეთს, ინსტიტუტის მოწყობის ხარჯი—696,000 მანეთს.

სულ საჭიროა 3,329,370 მანეთი. საამშენებლო ხარჯის ვარაუდი უნდა გადიდდეს 50,000 მანეთით მაინც. საჭირო მასალის მოზიდვა ერთნაირად არ დაჯდება ნავთლუღისა და საბურთალოში. თუ ნავთლუღში ინსტიტუტის შენობათა აგება დაჯდება 2.633,370 მანეთად, საბურთალოში ამავე მიზნისთვის საჭიროა 2,683,370 მანეთი. II. საპოლიტეხნიკო ფონდში თუ ყოველწლიურ შემოწირულებას არ მივიღებთ მხედველობაში 17 ოქტომბრამდე 1913 წელს, იყო 1,375,679 მანეთი.

თუ ინსტიტუტი საბურთალოში აშენდა, მაშინ ეს ჯამი 10,000 მანეთით უნდა შემცირდეს, რადგანაც თავადაზნაურობამ ეს ფული შესწირა საპოლიტეხნიკო ფონდს იმ შემთხვევაში, თუ იგი საბურთალოზე არ აშენდა.

გარდა ამისა განზრახულია ის მიწები, რომელიც პოლიტეხნიკუმისთვის არის განზრახული გაიყიდოს და ფულად იქცეს.

ა. ამ მიზნისათვის, თუ პოლიტეხნიკუმი ნავთლუღში აშენდა, განზრახულია გაიყიდოს ავლაბრის აგარაკში მდებარე 150 დესეტინა მიწა. ეს ადგილი რკინის გზის ლიანდაგთან ახლო მდებარეობს. კომისიამ მხედველობაში მიიღო, რომ 150 დეს. გასასყიდად საჭიროა მიწის დაგეგმვა. 150 დესეტინას ჩამოსცილდება ქუჩებისათვის და მოედნებისათვის $1/8$ ნაწილი, მაშასადამე, გასასყიდად რჩება 100 დესეტინა ანუ 240,000 ოთხკ. საჟენი. კომისიამ ისიც მიიღო მხედველობაში, რომ ამ ადგილის ფასი, პოლიტეხნიკუმის აშენებით და კახეთის რკინის გზის გაყვანით, აიწევს, ეხლა კი მისი შეფასება ზომიერ ფასებში უნდა მოხდეს. ადგილობრივ ფასების მიხედვით, როგორც ტფილისის თავად-აზნაურთა სადგილ-მამულო ბანკი აფასებს, ერთი ოთხკ. საჟენი უნდა გაიყიდოს სამ მანეთად.

ეს მიწა ამ ფასად გაყიდული, პოლიტეხნიკუმს 720,000 მანეთს მისცემს.

აგრეთვე ისიც აღსანიშნავია, რომ ქალაქი თვითვე კისრულობს ადგილის დაგეგმვას და გაყიდვას.

ბ. საბურთალოში გასასყიდად განზრახულია 124 დესეტინა მიწა: 65 დესეტინა გაბაშვილისა, 42 დეს. ხიმშიაშვილის, 7 დეს. დიასამიძისა, 5 დეს. ნაცვლიშვილისა და 5 დ. გაბაშვილისა.

დაგეგმვის დროს ქუჩებისა და მოედნებისთვის ჩამოსცილდება ამ ადგილს $1/8$ ნაწილი. გასასყიდად დარჩება 82 დეს. და 1600 ოთხ. საჟ., ანუ 198,400 ოთხკ. საჟენ. ამაში 30 დესეტინაა ვაკე ადგილია, დანარჩენი კი მთებზეა შეფენილი. კომისიამ ამავე მოსაზრებით შეუძლებლად სცნო ამ ადგილის მეტ ფასებში გაყიდვა, მაგრამ მხედველობაში მიიღო, რომ ქალაქი ამ მხრივ იზდება და შენდება, ამიტომ ერთი ოთხკ. საჟენი 4 მანეთად შეაფასა, რაც სულ 793,600 მანეთს შეადგენს.

კომისიას არ შეუძლიან ყურადღება არ მიაქციოს იმ გარემოებას, რომ თავად-აზნაურობა არა კისრულობს მიწების დაგეგმვის და რეალიზაციის ხარჯს. ეს დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს გაყიდვის საქმეში. მართალია, თავად-აზნაურობამ აღუთქვა კომისიას ყოველგვარი დახმარება, მაგრამ არ აღნიშნა ის ფორმები და ღონისძიებანი, რომელშიაც მათი დახმარება უნდა გამოიხატოს.

ამგვარად პოლიტეხნიკუმის საამშენებლო ფონდი ნავთლუღისათვის შეიცავს 2,025,679 მანეთს; საბურთალოსთვის კი—2,159,279 მანეთს.

თუ პოლიტეხნიკუმის აშენებას დასჭირდება 2,633,370 მანეთი ნავთლუღს აკლდება 537,691 მანეთი. თუ მეორე შემთხვევაში პოლიტეხნიკუმის აგებას 2,633,370 მანეთი მიუწოდება, საბურთალოს აკლდება 524,071 მანეთი.

თუ მხედველობაში დამატებითი ხარჯებსაც მივიღებთ, როგორიც არის გზებისა, წყალსადენისა, განათების და სხვა მოწყობა ნავთლუღს საერთო ჯამით დააკლდება 694,692 მანეთი საბურთალოს კი 1,131,611 მანეთი.

როგორც ვიცით, ქალაქმა პოლიტეხნიკუმს აღუთქვა ყოველწლიური შემოწირულებად 30,000 მანეთი. ის ფული, რომელიც პოლიტეხნიკუმს აკლდება ნავთლუღში, შეიძლება ქალაქიდან შემოწირულებათა ერთდროული აღებით შეივსოს. მით უმეტეს, რომ პოლიტეხნიკუმი დღიდან დაარსებისა აღარა ჰსაჭიროებს ყოველ-წლიურ შემოწირულებას. იგი ხაზინის ხარჯით შეინახება.

მგონი თვით ქალაქიც ამ მოსაზრებას დაადგება.

საბურთალოს შესახებ კი, კომისიამ ვერ გამონახა ღონისძიება, რით დაიფაროს დანაკლისი 1.131.611 მანეთი; ქალაქი ამ შემთხვევაში აღარ გამოიღებს ერთდროულ შემოწირულებასო.

*) იხ „სახალ. გაზ.“ № 1050.

# კავკასიის ქალაქების წარმომადგენელთა მეორე კრება

**21 ნოემბერი**

დღისით შეწყვეტილი კრება საღამოს 9 საათზე ახლდება **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით.

სამხედრო უწყების წარმომადგენელი ბ-ნი **სპიჩუგოვი** აცხადებს, წინა კრებაზე ნათქვამი სიტყვები კრების მონაწილეებისა, ვითომც ქალაქის თვითმმართველობათა და სამხედრო უწყების შორის უთანხმოება არსებობდეს სასანიტარო წესების აღსრულების საქმეში, სიმართლეს მოკლებულიაო.

კრების თავმჯდომარე უპასუხებს, რომ კრების მონაწილეებმა მრავალი მაგალითი ჩამოთვალეს იმისი, რომ სამხედრო უწყება სავალდებულო დადგენილებებს არ ემორჩილება.

**საქალაქო ქუჩები.**

ამ თემაზე ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსანი ა. ს. ბაბოვი ორს მოხსენებას კითხულობს. მოხსენებანი ხანგრძლივ კამათს იწვევენ. დასასრულ კრება მომხსენებლის წინადადებას იღებს: 1) ქუჩების მოკირწყვლისა და შესწორების საქმე ქალაქის თვითმმართველობათა ხელში უნდა იყოს, და 2) სახლის პატრონთ ქუჩების შესაკეთებელი ხარჯი ფულად უნდა გამოერთვათ და 3) საჭიროა ქუჩების მოკირწყვლის საქმის შესწავლა რუსეთისა და საზღვარ-გარეთის ქალაქებში.

განსახილველია ტფ. ქალაქის გამგეობის წევრის **მ. ნ. ათაბეგოვის** მოხსენება, რომელიც პირველ კრებაზე იქმნა წაკითხული. მოხსენების აზრი შემდეგია: ქალაქის თვითმმართველობანი ქალაქების გამშვენიერება-მოწყობაზე მცირე ფულს ხარჯავენ და საჭიროა დღეის შემდეგ მაინც მეტი დახარჯონ ისე, რომ ხარჯები ეთანაბრებოდეს სხვა ხარჯებს.

კრება მომხსენებლის წინადადებას იღებს.

**ნ. გ. ბაევი** (ბაქოს ქალაქის უფროსი ხუროთმოძღვარი) კითხულობს მოხსენებას შემდეგ სათაურით: „ახალი საქალაქო შენობები ბაქოში“, რომლიდანა სჩანს, რომ ბაქოში უკვე შეუდგენიათ პროექტები საავადმყოფოსი 100 საწოლით, სასკოლო და სხვა შენობებისა.

ტფ. ქალაქის სასანიტარო სამკურნალო ინსპექტორის **გ. ნ. სტეფანოვის** მოხსენების გამო კრება ადგენს: 1) აღიძრას შუამდგომლობა მეფის მოადგილის წინაშე, რათა კავკასიის სამალიარიო კომიტეტში შედიოდნენ წევრებად კავკასიის ყველა ქალაქის წარმომადგენელნი და 2) არჩეულ იქმნას საგანგებო კომისია სასანიტარო-საექიმო ბიუროს დებულების შესამუშავებლად; კომისიის წევრებად არჩეულ იქმნენ: მ. ვ. ლუხკევიჩი, გ. გ. ალიბეგოვი, ა. ა. მუხარინსკი, გ. ნ. ვესელოვზოროვი, ა. ს. ბაბოვი, გ. ხ. ქალანთაროვი, პ. ა. ზურაბიანცი, გ. ზ. ქურდიანი, ნ. ლ. ყარაზიანი და ვ. ი. ლანგი.

დასასრულ კრებამ **ა. ს. ბაბოვის** წინადადებით საორგანიზაციო კომიტეტს დაავალა, შემდეგ კრებისთვის დაამზადოს მოხსენება ტფილისში სამუნიციპალო ჟურნალის გამოცემის შესახებ.

**22 ნოემბერი.**

კრება დაიწყო ნაშუადღევის 2 საათზე **თ-დ ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვის** თავმჯდომარეობით, რომელმაც წაიკითხა პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული რეზოლიუციები.

რეზოლიუცებში კრების მონაწილეთა წინადადებით შეტანილ იქმნა სურვილი იმის შესახებ, რომ 1) საუღელტეხილო გზის გაყვანა დაჩქარებულ იქმნას, 2) შემოღებულ იქმნას სრული საქალაქო დებულება ახალქალაქსა, ახალციხესა, პეტროვსკსა და სხვა ასეთ ქალაქებში, 3) შემოღებულ იქმნეს შემცირებული საქალაქო დებულება ხონსა, ზუგდიდსა, ქვათურასა, საჩხერესა და სხვა იმ დაბებში, რომელნიც ქალაქების ტიპს უახლოვდებიან...

ქუთაისის ქალაქის მოურავმა **ი. მ. ჩიქოვანმა** თვის სიტყვაში მადლობა გადაუხადა: გულითად დახვედრისათვის—ტფ. ქალაქის თვით-მმართველობას და შრომისათვის—კრების თავმჯდომარეს, საორგანიზაციო ბიუროს, პრეზიდიუმს და მდივნებს.

დასასრულ სიტყვა წარმოსთქვა კრების თავმჯდომარემ **თ-დმა ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვმა**, რომელმაც ჩამოთვალა კრების შედეგები.

რეზოლიუცების საბოლოო რედაქცია ამ დღეებში იქნება შემუშავებული.

კრება ნაშუადღევს 3 საათზე დასრულდა, რომლის შემდეგაც საარტისტო საზოგადოებაში კრების მონაწილეთა საამხანაგო სადილი გაიმართა.

# ქართველ ქალთა წრე ბაქოში

(წერილი ბაქოდან)

17 ნოემბერს მოხდა კრება ბაქოელ ქართველ ქალთა წრისა. კრებამ დაადგინა, გახსნას პროფესიანალური სკოლა ქართველ ბავშვთათვის. ჯერჯერობით სკოლაში მიიღებენ 10—12 ქალს არა ნაკლები 12 წლისა. ხელსაქმის გარდა ასწავლიან საგნებსაც: რუსულს-ქართულს—ანგარიშს, ხატვას და სხვა. სწავლა ქართულად იწარმოებს. სწავლის ფასი წელიწადში 15 მან. ამ უკანასკნელმა დადგენილებამ ხანგრძლივი კამათი გამოიწვია. გამგეობას აზრადა ჰქონდა წელიწადში 30 მან. დაეწესებინა სწავლის ფულად. მომეტებულმა მანდილოსანთაგანმა იბვერა ეს გადასახადი. ორიოდ-სამმა ქალმა კი სულ უფასო სწავლა მოითხოვა, რადგანაც მომეტებული ბაქოელ ქართველებისა ხელმოკლეობის გამო ვერ შესძლებს ამდენის გადახდას, და ვისთვისაც უფრო საჭიროა ეს სკოლა, სწავლის გარეშე დარჩებიანო. ამ მანდილოსნების წინადადება ხმის უმრავლესობით უარყოფილი იყო, რადგანაც გამგეობის განმარტებით, წრეს შეძლება არა აქვს ჯერ-ჯერობით უსასყიდლოდ ასწავლოს ბავშვებს და ის შემოსავალი კი, რომლის იმედი აქვთ, მოსალოდნელს ხარჯს ვერ დაჰფარავს. სწავლა დაიწყება იანვრიდგან ქართულს სკოლაში, სანამ საზოგადოება შესძლებს თავისი ხარჯით სკოლისათვის ბინა დაიქირაოს. ხელსაქმისთვის მოიწვევენ მასწავლებელს სასყიდლით, მხოლოდ იმედი აქვთ საგნების სწავლებას უსასყიდლოდ იკისრებენ აქაური ქართველი მასწავლებლები.

მწუხარებით უნდა აღვნიშნოთ, რომ თუმცა მოხსენება ქართულად იყო წაკითხული, თავმჯდომარის თანაშემწე (თავმჯდომარე არ დასწრებია კრებას) თავიდანვე ქართულად იძლეოდა კითხვებს, მაგრამ მერე აირია მონასტერი და ჭრელი საუბარი გაიმართა უცხო ენაზე. ეს ერთად-ერთი კულტურული დაწესებულებაა ქართველ ქალთა წრისა ბაქოში და ვალად გვძევს სიწმინდით დავიცვათ ჩვენი დედა-ენა.

**აიშე ხანუმ მროველი.**

# თელავის პროგიმნაზია

10 ნოემბერს პროგიმნაზიის ინსპექტორის მოწვევით მოხდა მშობელთა კრება საქველმოქმედო საზოგადოების დასაარსებლად, რომლის მიზანი იქნება: პროგიმნაზიის გიმნაზიად გადაკეთება, საშუალების მოპოვება, საკუთარი ადგილის შეძენა, შენობის აგება, მოსწავლეთა დახმარება და სხვა.

წესდების განხილვის დროს უმრავლესობამ მოითხოვა ამ საზოგადოების მაგიერ მშობელთა წრის დაარსება, რომელიც სწავლა-აღზრდის საქმესაც თვალ-ყურს ადევნებდა და ეს-კი აუცილებელია სასწავლებლის ცხოვრებაში, მხოლოდ ერთმა განაცხადა ძრიელ საჭიროა მშობელთა წრე, რომ ახლო ზედამხედველობა გაუწიოს მეცადინეობას, ეხლა მოსწავლეთა $75\%$ ვერ ითვისებს თურმე საგნებს და ცალკე მასწავლებლების მოწვევა უხდებათო. ამ საგანზე, თავმჯდომარემ ბაასის ნება არ მისცა და უპასუხა, ერთი მეორეს არას დაუშლის, ისიც შეიძლება დაარსდეს, მხოლოდ მშობელთა წრეს მარტო სამოსწავლო წლის თავიდან შეუძლიანთ მოქმედების დაწყება და დღევანდელი სა-

საზოგადოება კი ორი კვირის შემდეგ იქნება დამტკიცებულიო.

მშობელთა წრის დაარსების მომხრენი კიდევ იმით ასაბუთებენ, რომ თელავში ერთ სასწავლებელთან ორი საზოგადოების დაარსება შეუძლებელია, მხოლოდ ამ ორში მშობელთა წრე უფრო საჭიროა, ვინაიდან სწავლა-აღზრდის საქმესთან ერთად საშუალების აღმოჩენაც შეეძლებაო.

ხმის უმეტესობით საქველ-მოქმედო საზოგადოების წესდება მიიღეს და დამსწრეთ იქვე მოაწერეს ხელი.

ჩვენ ამ საზოგადოების წინააღმდეგი არაფერი გვაქვს, პირიქით, ვუსურვებთ მას აღყვავებას, პროგიმნაზიას გიმნაზიად გარდაქმნას, მაგრამ ესეც ცხადია, რომ ამ სასწავლებელს საზოგადოებამ დიდი ხანია ზურგი უბრუნა და დღეს მისი არსებობით მარტო იქ მოსწავლეთა მშობლები არიან დაინტერესებულნი.

პირველად თავად-აზნაურობა და ქალაქი რომ ამ პროგიმნაზიის გასახსნელად ემზადებოდნენ, ყველა დარწმუნებული იყო, შემდეგ დახმარება აღარ მოუნდებოდა და თავის თავს თვითონ შეინახავდა, მაგრამ ჯერ ისევ შემომწირველთა კომიტეტში უთანხმოებამ იჩინა თავი, მერე აქედან სასწავლებელში გადავიდა და ისე მოეწყო საქმე, რომ ხარჯები გაიზარდა, ხოლო შემოწირულება არსაიდან გრო'ში აღარ შემოსულა და ქალაქს თავად-აზნაურობასთან ერთად მძიმე ტვირთად დააწვა მისი შენახვა.

თელავი თავის 16—17 ათას მან. ბიუჯეტიდან პროგიმნაზიის სასარგებლოდ 3—4 ათას იხდის, მაშინ, როცა მდაბიო მოქალაქეთა შვილები ასობით და ორასობით სკოლის გარედ რჩებიან უსწავლელი და ერთი პირველ-დაწყებითი სასწავლებელი ვერ გაუხსნიათ, ხოლო თავად-აზნაურობასაც ძრიელ ეძნელება და ვერც მთლიანად აკმაყოფილებს მის მოთხოვნილებას. არის ხოლმე შემთხვევა, როცა მოსალოდნელია მასწავლებლები უჯამაგიროდ დარჩნენ.

აი, სურათი თელავის პროგიმნაზიისა, რომლის შველა, ვგონებ ახლად დაარსებულმა საზოგადოებამ შესძლოს.

ეს გარემოება სამოსწავლო ოლქშიაც კარგად მოეხსენებათ. როდესაც შუამდგომლობა აღძრეს გიმნაზიად გადაკეთების თაობაზე, უპასუხეს: აწინდელი პროგიმნაზიაც არ არის უზრუნველ-ყოფილი და გიმნაზიად რომ გადაკეთდეს, მაშინ რაღა იქნებაო.

ალბად წელსაც აღიძვრება საკითხი კლასების მომატების შესახებ. თუ ამას ახლად დაარსებულ საზოგადოება შესძლებს, რასაკვირველია. ამის წინააღმდეგი არავინ იქნება; რაც შეეხება ქალაქს, სიმართლე მოითხოვს უმრავლესობის—მდაბიო, მოქალაქეთა სწავლა-აღზრდას—მიექცეს ჯეროვანი ყურადღება და იმის ნახევარი მაინც დახარჯოს, რაც პროგიმნაზიაზე იხარჯება. ამისათვის ქალაქი უნდა ეცადოს თან-თან შეაცოტავოს მისაცემი ფული, ვიდრე სრულებით არ განთავისუფლდება; თავ.-აზნაურობა-კი ნუთუ ყოველ წლივ 4—5 ათას მან. გადასდებს პროგიმნაზიისთვის, როცა ამ ფულით კი ბევრი საჭირო საქმე გაკეთდებოდა, თუნდა სხვა არა იყოს რა, 5 ათასი მანეთით ხუთი სოფლის სკოლა შეინახებოდა და 300—400 ბავშვი ისწავლიდა ან-ბანს.

ამ პროგიმნაზიის საქმე ასე უნდა გადასწყდეს: ეხლავე აღიძრას შუამდგომლობა, რათა ხაზინამ იკისროს სასწავლებლის მთელი ხარჯები და როცა ეს იქნება შეწყნარებული, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღიძრას საკითხი გიმნაზიად გადაკეთებაზე, თუნდა ახლად დაარსებულ საზოგადოების ან სხვა ადგილობრივ საშუალებათა დახმარებით...

**დავიწყებული.**

## პატარა ფელეტონი

ერთხელ ებრაელთა მეფე სოლომონ ბრძენი იჯდა ღრმად ჩაფიქრებული თავის დიდებულ დარბაზში მის გარშემო სილამაზით განთქმულნი მშვენიერი ასულნი ცეკვავდნენ და კეკლუცი ტანის რხევით სცდილობდნენ მიეპყროთ ყურადღება თავისი მბრძანებლისა; ისმოდა მომხიბლავი მუსიკა, რომელიც, ციური ჰანგივით, ჰაერში იბნეოდა, შეუერთდებოდა ათასგვარ სურნელებას და ჯადოსნურის ძალით ჰხიბლავდა მსმენელს, იტაცებდა შორს, შორს ოცნებათა უცხო ქვეყანას, აღელვებდა, აღფრთოვანებდა და ავიწყებდა ყოველივე ქვეყნიურს.

მაგრამ სოლომონ ბრძენზედ ვერ იჩენდა თვის ძალას, მეფე უკვე ღრმა სიბერეში იყო შესული.

უცბად, თითქოს წყენით, მეფემ ხელი დაიქნია. მუსიკა შესწყდა. ქალები მიიმალნენ. დარბაზში მოკრძალებულის ნაბიჯით გამოჩნდა, მომდინარე, ახალგაზრდა, ლამაზი მონა.

იგი მიუახლოვდა მეფეს. ჩამოჯდა მის ფერხთით და მოიმარჯვა კალამი და პაპირუსი, რომელიც იქვე იყო მომზადებული.

„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო, წარმოსთქვა მეფემ,—არა რაი არა არს ახალი ყოველივე მზესა ქვეშე, რომელი აღმოიტყვის და თქვას, აჰა ესე ახალ არს აწ იქმნას საუკუნეთა შინა წინასწარ ჩვენისა“.

„ამაოება ამაოებათა, ყოველივე ამაო“... რატომ მაშინ არ ამბობდა ამ სიტყვებს მეფე, ფიქრობს მონა როდესაც იგი სიცოცხლით, ჯანღონით სავსე, ახალგაზრდა შეჰხაროდა ბუნებას, როდესაც იგი სულამიტის სიმშვენიერით მოხიბლული, სულამიტის ერთი დანახვითაც კი ჰგრძნობდა უაღრეს ნეტარებას, —როდესაც მისი ერთი ღიმილიც დაუფასებელი იყო მისთვის?

მაშ თუ ამაოა ყოველივე, რადგან „არა რაი არა არს ახალი მზესა ქვეშე“ სიყვარულიც ხომ ისევე ძველია, როგორც თვით ქვეყანა? რად უყვარდა ისე გაგიჟებით, თავდავიწყებით, თვისი სულამიტი, რომ მისი სიმშვენიერის აღწერაშიაც კი ნეტარებას ჰგრძნობდა?! ან არა და თუ ყოველივე ამაოა, რაღათ უტოვებს შთამომავალთათვის ამ სიტყვებს? ეს სიტყვებიც ხომ ამაოა, როგორც ყოველივე“?!

მაგრამ დარბაზში გაისმოდა მხოლოდ სოლომონ ბრძენის ხმა. მონას კი მოწიწებით გამოჰყავდა პაპირუსზე: „ამაოება ამაოებათა, სთქვა ეკლესიასტე, ყოველივე ამაო“...

**ლევანი.**

## წ.-კ. გ. ს. ქუთაისის განყოფილების საყურადღებოდ

ხერთვისის სკოლა ერთად-ერთია, სადაც ამ ჟამად ქართველ მაჰმადიანთა ბავშვები სხვა საგნებს გარდა ქართულ ენის შესწავლასაც ეწაფებიან. ჩვენდა სამწუხაროდ, უსახსრობის გამო, სკოლას გარდა სახელმძღვანელოებისა (დედა-ენა, ბუნების კარი) არავითარი საკითხავი წიგნი არ მოეპოვება: სკოლის უპირველესი მოვალეობა და მიზანი—კურსდამთავრებულ ბავშვებს გააყოლოს სკოლიდან უნარი დამოუკიდებელ კითხვისა და წანაკითხის შეთვისებისა, შეუძლებელი ხდება შესაფერ საბავშვო წიგნების უქონლობის გამო. საბედნიეროდ წელს მოსდიოდა ჩვენს სკოლას ჟურნალი „ნაკადული“, რომელიც შემოგვაწირა დიდად პატივცემულმა ქ-ნმა ნინო ნაკაშიძემ ნეტარ-ხსენებულ არჩილ ჯორჯაძის ხსოვნის პატივსაცემად.

ოდესღაც ქუთაისის განყოფილების წ. კ. საზოგადოებისა დადგენილი ჰქონდა, რათა შესწეოდა ხერთვისის სკოლას ჟურნალი „ნაკადული“, „განათლება“, „იმერეთი, „სახ. გაზეთი“ და ყოველ-წლიურად 10 მანეთის საბავშვო წიგნები. რაღაც მიზეზის გამო ხსენებულმა განყოფილებამ ვერ მოიყვანა სისრულეში თავისი აღთქმა.

მოვაგონებ-რა ქუთაისის განყოფილებას თავის დაპირებას, უმორჩილებად ვსთხოვ დაეხმაროს ხერთვისის სკოლას ძით, რითაც შესძლებს.

**ა. დობორჯგინიძე.**

## წ.-კ. საზოგადების თელავის განყოფილების წევრთა კრება

17 ნოემბერს თავ. ა. რ. ვახვახიშვილის თავმჯდომარეობით მოხდა წ.-კ. საზ. თელავის განყოფილების წევრთა კრება.

თავმჯდომარის წინადადებით კრებამ ფეხზე ადგომით პატივი სცა არ. ჯორჯაძის და ან. ფურცელაძის ხსოვნას. აგრეთვე კრებამ ფეხზე ადადგომით პატივი სცა განყ. გარდაცვლილ თავ. ი. მ. ჭავჭავაძის, კნ. ა. ი. ჩოლოყაშვილის და ი. ხინჩაკაშვილის ხსოვნას.

კრებას მოჰხსენდა 1912 წლის განყოფილების, სკოლის და წიგნის მაღაზიის ანგარიშები და სარევიზიო კომისიის აქტი. ყველა ანგარიში დაამტკიცა კრებამ.

კრებაზე თავი იჩინა ერთმა ჩვენში უკვე ცნობილმა მიმართულებამ, თუმცა ისინი სულ მცირე რიცხვს შეადგენენ, მაგრამმაინც უნდა აღვნიშნო, მათი განცხადება, რამაც ხანგრძლივი კამათი გამოიწვია, რომ განყ. გამგეობა ასცდა თავის მიზანსო, მთელი ყურადღება ილიას მამულისთვის მიუქცევია და გამგეობის წევრებს მარტო წიგნის მაღაზია გაჰხდომიათ საქმეთაო. ამათ მოითხოვეს ხალხის, მასისთვის მთელ ყურადღების მიქცევა და საქმის ისე დაყენება, რომ მათაც შეეძლოთ მონაწილეობის მიღება წევრებად ჩაწერვით. დასასრულ კი მოითხოვეს საწევრო ფულის დაკლება.

ყველა კითხვები დაწვრილებით განემარტათ, რომ გამგეობის ყურადღება სწორედ წ.-კ. გავრცელებაზეა მიქცეული, რისთვისაც დღეს უკვე სამ-განყოფილებიანი სკოლა აქვს თელავში, სადაც ასამდე ღარიბ-ღატაკთა შვილები სწავლობენ ანბანს; წიგნის მაღაზია ერთ წევრს აქვს ჩაბარებული და თუ სხვა წევრები ზოგჯერ მეთვალყურეობას უწევენ, ეს მათ პასივში არ ჩაეთვლებათ. რაც შეეხებათ ილია ჭავჭავაძეს და მის მამულს, რომელიც დაუსრულებელ სალაპარაკო საგნად გაიხადეს, ამაზე გამგეობამ უპასუხა, რომ იგი დიდ ყურადღებას აქცევა, რათა ღირსეულად მოუვლოს ამ დიდებულ ადამიანის მამულს, ცდილობს ისე მოაგვაროს საქმე, რომ იქ ილიას სახელობაზე სკოლა გახსნას, ბიბლიოთეკა უკვე არსებობს და შემდეგშიაც ეცდება უფრო მეტი პატრონობა გაუწიოს...

ხალხის მასს გამგეობას არ დავიწყებია, პირიქით მის ყოველ დღიურ საკითხს შეადგენს სასცენო სექციის დაარსება, რათა შესაძლებელი გახდეს სახალხო კითხვების, ლექციების და წარმოდგენების გამართვა. ეს საკითხი კრებას უკვე მოჰხსენდა და მის სამოქმედო გეგმაში შედის-კიდეც, თუ, რასაკვირველია, ამ საქმისთვის საჭირო მოქმედთა პირი მიიღებს მონაწილეობას. რაც შეეხება საწევრო ფულის დაკლებას, ეს განყ. კრებას არ შეეხება, ვერაფერ გადაწყვეტილებას ვერ გამოიტანს და თუნდა ესეც არა, გამგეობა ნაადრევადა სცნობს მის შემცირებას.

დამსწრეთა დიდმა უმრავლესობამ მოიწონა და დაეთანხმა საკითხების განმარტებას.

მცირე კამათი გამოიწვია წიგნების ვაჭრობამ, ზოგმა მოითხოვეს ყველა გამოსულ წიგნების ქონა, რაც ყოვლად შეუძლებელია ვინც-კი გაცნობილა წიგნების მოთხოვნილებას თელავში. ამის შემდეგ კრებამ მოისმინა გამგეობის მოხსენება, ქართველ თავ.-აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოს სახელობაზე ილიას მამულის მოსაწესრიგებლად 5600 მან. გადადების შესახებ. ეს შუამდგომლობა აღიძრა წარსულ წლის საზოგადო კრების დადგენილების თანახმად. დამსწრეთ მოიწონეს მოხსენება და სურვილი გამოსთქვეს, რომ ქართველ თავ.-აზნაურობას წელს მაინც სასურველად გადაეწყვიტოს ეს დიდად მნიშვნელოვანი საკითხი.

კრების თავმჯდომარემ მოახსენა, რომ წელს თებერვალში ათი წელიწადი შესრულდა, რაც თელავში გარდაიცვალა სახელოვანი მწერალი რაფიელ ერისთავი და გამგეობას საჭიროდ მიაჩნია ამის აღნიშვნა თელავში, მხოლოდ განსვენებულის საფლავის, რომელიც აუწერელ მდგომარეობაში იმყოფება, ყურადღების მიქცევა. კრებამ ერთხმად დაადასტურა ეს საკითხი და გამგეობას მიანდო, როგორც დაწვრილებითი გეგმის შედგენა ისე მისი შესრულება.

დასასრულ მოხდა გამგეობის ერთი წევრის (ნაცვლად გარდაცვალებულ თ. იური ჭავჭავაძისა) არჩევანი. აირჩიეს მასწავლ. ლ. ნ. ზაუტაშვილი მუდმივ ს. ყვარელში მაცხოვრებელი, რომელიც ილიას მამულის გამგედ იმყოფება.

ბოლოს კრებამ საპატიო წევრად აირჩია კნ. ს. ე. ვახვახიშვილისა უხვი შემოწირულებისათვის.

ამით დასრულდა ყველა საკითხების განხილვა, თავმჯდომარემ მადლობა გადაუხადა წევრთ კრებაზე დასწრებისათვის და კრება დახურა ნაშუადღევის 4 საათზე.

## მოწერილი ამბები

**შიგნით კახეთი.** კახეთში ვარ. დავყურებ ბაღებ-ვენახებით შემოსილ სოფლებს. გულიდან სევდა მეყრება. კახეთის ბუნება მხიბლავს, თვისკენ მიწვევს.

მაგრამ მივიდეთ სოფლად, გავეცნოთ სინამდვილეს. ვნახოთ რამდენათ გაამართლებს გორიდან ცქერით აღძრულ იმედებს სამეურნეო ქვეყნის საუკეთესო კუთხე. თვალწინ გვეშლება ისევ ძველებური გულ-საკლავი სურათი, სიღატაკე, უვიცობა და უცოდინრობა მეურნეობისა. არავინ არის სოფლის დამხმარე, სოფლის მეგობარი. კახეთი ისევ ჩარჩ-ვაჭარ-მოვახშეთა სათარეშო მოედანს წარმოადგენს, როგორც ამ ათიოდე წლის წინად იყო; სოფლის მოხელენი ისევ უწესრიგოთ აწერენ ხარჯს.

არც ერთი კუთხე ჩვენის ქვეყნისა ისე არ არი ჩამორჩენილი სწავლა-განათლებით, მეურნეობით როგორც თელავის მაზრა.

ყველა სოფლის უნუგეშო მდგომარეობის აღწერა ძნელია. ამიტომ ვიტყვი ორიოდე სიტყვას.

ოყიო, ხორხელი, ალავერდი, კოლოთო, ჯანა-ანი, ერთი მეორის მეზობელი სოფლებია. არცერთ სოფელში არავითარი საზოგადო და კულტურული დაწესებულება არ არის, არც სკოლა, არც წიგნთსაცავსამკითხველო და არც სხვა ამგვარი.

თუ სხვა სოფლებში არა, ოყიოში მაინც საკმაო ძალას წარმოადგენს ინტელიგენცია თუ საქმის და სოფლის სიყვარულ გამოიჩენენ. ამ სოფელში სცხოვრობენ რამდენიმე კომლი ანდრონიკაშვილები და აბელიშვილები, ამავე სოფლის მკვიდრად ითვლება ცნობილი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი.

სოფელს არა აქვს რიგიანი სასმელი წყალი. რუის მღვრიე წყალსა ჰსვამენ. მერე ამ წყალს კოლოთოს მცხოვრებლები ხმარობენ ქვევრით. ათ-ხუთმეტ ბავშვში ერთ ორს ძლივ გამოარჩევ საღს, მცქვიტ, მალხაზს ყველა უფერული და ხშირად ავადმყოფია. სასმელი წყალი არამც თუ ზაფხულის ცხელ თვეებში, ენკენისთვეშიაც კი დასწყდა და ორ დღეს ელოდინეს ქვევრების რეცხვას. სოფელ ხოდაშნიდან ეზიდებოდნენ წყალს.

როგორც გადმომცეს კოლოთოს და ოყიოს ამ სამი წლის წინად გადაუწყვეტიათ საერთო ძალით წყაროს წყლის გამოყვანა, ამოურჩევიათ რვა კაცი ორივე სოფელს და მიუციათ უფლება გამოიყვანონ წყარო, გაწეული ხარჯი გაწერონ მცხოვრებლებზე, ვინც ნებით არ გადაიხადოს, ძალით გადახდევინონ. ორივე სოფელს მთავრობის ბანკში აქვთ ორი ათას მანეთზე მეტი და მიეცემათ მოთხოვნისათანავე სოფლის რწმუნებულებს ამგვარ შემთხვევისთვის. მაგრამ ჯერ-ჯეროობით არაფერი გაურიგებიათ. საჭირო საქმიანი ხალხის ამორჩევა ამ საქმისათვის და დროზე გამოყვანა წყლისა.

იყალთოს მაგალითს მაინც მიჰბაძონ: იქ წყაროც გამოუყვანიათ, საავადმყოფოცა აქვთ, სკოლაც. ბაზრობის მოსაწყობათ ნებართვაც აუღიათ. ყველა ამ სასარგებლო საქმის მოწყობაში დიდს მამობრივ მზრუნველობას იჩენს თავ. ტიტიკო მაყაშვილი.

დროა ზემოთ ხსენებულ სოფლების გულშემატკივრებმა მეტი უნარი გამოიჩინონ, კმარა უმოქმედობა და დაუდევრობა.

**ერის თემელი.**

**ერწო-თიანეთის მხარე** ერწოთიანეთის მხარესაც წლევანდელი ზაფხული გოლვიანი იყო. ანეულებმა კი კოსწრო დამთავრება და გაზაფხულის ნათესობა კი რაც იყო, გოლვის წყალობით ნაკლებ მოვიდა. საშუალოდ პურის მოსავალი წელს აქეთ საშუალოზე მეტი იყო. კოდი პური აქეთ ორი და ათი შაური ფასობს. გაზაფხულის გოლვას, შემოდგომის გოლვამ გადააჭარბა. ენკენისთვეში (მარტო თხუთმეტში მოვიდა, ისეც ზოგგან, საშინელი სეტყვა იყო) და ღვინობისთვე სულ უწვიმრობით გავიდა, და გიორგობისთვეც ასევე მიდის; ანეულების მომეტებული ნაწილი დაუთესავ-დაუფარცხავი დარჩა, ვინც კი დათეს-დაფარცხა, ისევ ჭიაღუამ და თაგვებმა წაილოწამოიღო; მინდორი თაგვისაგან დახვრეტილია, ხალხი ძლიერ სწუხს: „ეს კაი ნიშანი არ არის, კულავისთვის ცუდი მოსავალი იქნებაო“.

ძლიერ ცუდი ამბები მოდის შირაქიდანაც. იქიდან ჩამოსული მეცხვარეები ჩივიან, სულ გადამხმარია შირაქი და ამ ზამთარს ცხვარს დიდი ზარალი მოელისო; მომეტებულთ ცხვარი სხვა და სხვა მხარეებისაკენ გაურეკიათ.

კახეთში წელს დიდი ღვინის მოსავალი მოვიდა. ღვინო იაფია, დ ურემი-ურემზედ მოდის ერწო-თიანეთისკენ. შემოდგომაა, ქორწილი, წირვა და სამღვთოები გახურებულია. რადგანაც იაფია, ხალხი ღვინოს უხვად ყიდულობს და უზომო სმას ეძლევა, რომელსაც თან მოსდევს ჩხუბი და ხშირად კაცის კვლაც.

კვირა არ გაივლის, რომ არ გაისმას: „აქა და აქ სიმთვრალის დროს კაცი მოჰკლეს, აქ დასჭრეს და სხვა“, მაგალითად: სოფ. საყარაულოში სიმთვრალის დროს ამხანაგმა ხანჯლით მოჰკლა ლაზარე კოკოზაშვილი, სოფ. სვიმონიანთხეველმა გორა ლევერაშვილმა, სოფელ ჯებოტაში მოიტაცა დოლიაშვილის ქალი; ქალს ბიძაშვილი მიეშველა; ღვინით გახურებულმა ლევერაშვილმა, დაახალა თოფი და მოჰკლა ქალის ბიძაშვილი.

ერწო თიანეთის მხრის სამრევლოს სამღვდელოება ძლიერ უხერხულ მდგომარეობაშია ამ ჟამად ჩავარდნილი; საქმე ისაა, რომ შარშან ხალხში ხმა გავრცელდა, „კოდის პური უნდა მოისპოსო“. ეს არის მიზეზი, რომ სამღვდელოებას და მრევლთ შორის ამ ჟამად ხშირი უთანხმოებაა კოდის პურის კრეფის დროს.

მკითხავ და სოფლის ექიმბაშებს აქეთ ძრიელი ფესვი აქვთ გადგმული. სურდო რომ ვისმე შეხვდეს, მკითხავთან გარბიან; რომლის რჩევითაც ხატებში—ღელობებში სიარულით ხალხს უზომო ხარჯი მოსდით. მკითხავს და ხატებს თუ გადარჩნენ, ახლა სოფლის ექიმბაშების მსხვერპლი მაინც უსათუოდ უნდა გაჰხდნენ. ბევრი მაგალითებია, მაგრამ ერთს ვიტყვი: სოფელს სიონში წარსულ მარიამობისთვეში, ცოფიანმა ძაღლმა დაჰკბინა ანდრია ზითანაშვილის ძმისწული და დათიკო ჩეკურაშვილი. დაკბენილების პატრონებს, ბევრი ურჩიეს შეგნებულ პირთ, რომ დაკბენილები ქალაქში წაეყვანით საექიმოდ, მაგრამ სინთილეს სიბნელემ სძლია; ქალაქში კი არ წაიყვანეს და შინაურ ექიმბაშებს მიმართეს, რომელთაც დაარწმუნეს: „ჩვენ თუ ჩვენი ბუზის წამალი დავალევინეთ, ცოფით დაკბენილი განთავისუფლდებაო“. ასეც მოიქცნენ, და საბრალო დათიკო ჩეკურაშვილი, მიტომაც გახდა მსხვერპლი ცოფისა; ოცდა რვას ღვინობისთვეს გამოაჩნდა ცოფი; პატრონებმა ყურადღება არ მიაქციეს, მაგრამ შეატყეს: „ბუზის წამალი აღარა სჭრისო“, სხვათა რჩევით, ოცდა ათს ღვინობისთვეს წაიყვანეს ტფილისში, მაგრამ გვიანღა იყო. სანამ საავადმყოფოში მიიყვანდნენ, ტანჯვავებით განუტევა სული.

თუ ტფილისში არ წაიყვანეს, უეჭველია, ზითანაშვილის ძმისწულსაც ამნაირივე უბედურება მოელის.

**ქართველი თხებში ნამყოფი.**

## სხვა და სხვა ამბავი

საგულისხმო სტატისტიკურს ცნობას ვკითხულობთ ერთს ფრანგულ ჟურნალში. იგი ამტკიცებს, რომ **უცოლოთა შორის სიკვდილი უფრო ხშირია, ვინემ ცოლიანებში.**

აი ციფრებიც:

20—30 წლამდის 100-ზე ცოლიანი კვდება- 3,2, უცოლო კი—6,6.

30—40 წლამდის 100-ში კვდება—6, უცოლო კი—13.

40—50 წლამდის 100-ზე 9,5 ცოლიანი კვდება, უცოლო კი — 19,5. ციფრები თანდათან იზრდებიან და 60—80 წლამდის 100-ზე რომ 32 ცოლიანი კვდება, უცოლო 51.

## თეატრი და ხელოვნება

**„მსხვერპლი“ ქართულ თეატრში.** დღეს დრამატიული საზოგადოების დასი წარმოადგენს ი. გედევანიშვილის ცნობილ დრამას „მსხვერპლს“, რომელშიაც, სხვათა შორის, მონაწილეობას მიიღებს პირველად ხანგრძლივი ავადმყოფობის შემდეგ საუკეთესო შემსრულებელი მოხუც გაბოს როლისა **ბიქტორ გამყრელიძე.** მთავარი როლებს კი ისევ ის მსახიობები შეასრულებენ, რომელთა საშუალებით ეს პიესა პირველად იყო დადგმული.

**ნ. ჩხეიძის საბენეფისოდ** ხუთშაბათს, 28 ნოემბერს, წარმოდგენილი იქნება ჟულავსკის ცნობილი პიესა „**ეროსი და ფსიქეა**“, რომელიც გადმოთარგმნილია ქართულად ახალგაზრდა მგოსან ქალის ბაბილინას მიერ. პიესას სდგამს მ. ქორელი ცნობილი რეჟისორის მეიერხოლდის მიზანსცენების მიხედვით.

**ი. გედევანიშვილის** ახალი პიესა „სინათლე“, რომელიც ჩვენი გაზეთის დამატებაში იბეჭდებოდა, უკვე ნება დართულია ქართულ სცენებზე წარმოსადგენად და დაიდგმება დეკემბრის შუა რიცხვებში. ამ პიესისათვის მზადდება საგანგებო დეკორაციები. პიესას სდგამს ბ-ნი შალიკაშვილი.

**„დამარცხებული რომი“.** ქართული დასი ბ-ნ შალიკაშვილის ხელმძღვანელობით უკვე შეუდგა 5 მოქმედებიანი დრამის „დამარცხებული რომის“ მზადებას.

**„დონ კარლოსი“** შილლერისა, რომელიც საუცხოვოდ სთარგმნა მგოსანმა ა. შანშიაშვილმა გერმანულიდან, მოკლე ხანში წარმოდგენილი იქნება ქართულ სცენაზე. პიესა აირჩია თავის საბენეფისოდ ვ. გუნიამ. პიესა დაიბეჭდება აგრეთვე „გრდემლის“ მორიგ ნომერში.

**ქ-ნ ნ. დავითაშვილს** თავის საბენეფისოდ აურჩევია შილლერის ცნობილი ტრაგედია „მარიამ სტუარტი“, რომელიც თურმე უთარგმნია განსვენებულ იოსებ ბაქრაძეს, „ურიელ აკოსტას“ მთარგმნელს. ამ პიესისათვის მზადდება ახალი დეკორაციები და ტანისამოსები.

**ვ. გუნიას გასტროლი ბათომში.** ბათომის დრამატიულ საზოგადოების მოუწვევია საგასტროლოდ ვ. გუნია, რომელიც შეასრულებს „ოტელლოს“ როლს

**ბაქოში.** დღეს გაიმართება საღამო გალა ნიჭიერი ჰუმორისტის დ. კლდიაშვილის მონაწილეობით.

**სალიტერატურო სამუსიკო დილა ნ. კავსაძისა.** დღეს, 24 ნოემბერს, ქართულ თეატრში გაიმართება საინტერესო სალიტერატურო-სამუსიკო დილა, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ სხვათა შორის: ოპერის მომღერლები: გოზხინა-ვოლკონსკისა, აკოფაშვილი, რუსლანოვი; აგრეთვე ქართული გუნდი მიხ. კავსაძის ლოტბარობით და ბავშვების გუნდი ნ. კავსაძის ლოტბარობით. სალიტერატურო განყოფილებაში მონაწილეობას მიიღებენ, სხვათა შორის: გრიშაშვილი, ახოსპირელი, მჭედლიშვილი და ვ. ურუშაძე. დილის მომწყობი ნ. კავსაძე აპირებს მუსიკალურ სასწავლებელში შესვლას მუსიკალურ განათლების მისაღებად, ხმის დასამუშავებლად.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტოსაგან).

**23 ნოემბერი**

**უცხოეთი.**

**პარიზი.** ჰავასის სააგენტოს ცნობით, პუანკარემ რიბოს წინადადება მისცა კაბინეთი შეადგინოს. რიბომ უპასუხა: ვეცდები, მომცემს თუ არა ნებას ჯ ნსაღობა. პუანკარე ხვალ დილამდე დაუცდის გარკვეულ პასუხს.

**პლიმუტი.** დააპატიმრეს სუფრაჟისტი პანკრესტი, რომელიც ნიუორკიდან დაბრუნდა.

**ლონდონი.** სამხრეთ უელსის პრეტ-უესტერნ-რეილიუს მუშები გაიფიცნენ.

სამგზავრო მატარებელთა მიმოსვლა თან და თან ჩერდება, საქონლის გადაზიდ-გადმოზიდვა შეჩერებულია. თანაგრძნობის ნიშნად გაიფიცა სამთა-მადნო 3,500 მუშა.

**ბერლინი.** პოლიტიკოსთა წრეებში რეიხსტაგის 21 ნოემბრის რეზოლიუციას მძიმე შთაბეჭდილება არ მოუხდენია. მათის აზრით კანცლერზე ეს რეზოლიუცია სრულიად არ იმოქმედებსო. იგი გადადგება თუ დარჩება კანცლერად, პარლამენტის რეზოლიუციაზე არ არის დამოკიდებულიო. აღნიშნავენ აგრეთვე, რომ მთავრობის შორის არავითარი განხეთქილება არ არსებობსო.

**კალკუტა.** ქალაქის თვითმართველობაში ინდოელთა შევიწროების საპროტესტო მიტინგი გაიმართა. მოლაპარაკეებმა სამხრეთ აფრიკაში ინდოელთა გაჭირვებული მდგომარეობა აღნიშნეს.

**ლონდონი** გრედფორდში ლიბერალთა მიტინგი მოხდა. საგარეო საქმეთა თაობაზე გრეიმ სიტყვა წარმოსთქვა. მომავალის თაობაზე სთქვა: კეთილის მეტს არაფერს ველით. ჰომრულის შესახებ მინისტრმა განაცხადა: საკითხის მშვიდობიანად გადაწყვეტისთვის ორივე მხარეს თანხმობაა საჭირო. მთავრობა ყოველ ღონეს მიიღებს საკითხი მშვიდობიანად დაგვირგვინდეს, მაგრამ არის ისეთი საზღვრები, რომლის გადალახვა შეუძლებელიაო.

**ლონდონი.** ჰპრეტ-უესტერნ-რეილიუს ლიანდაგზე გაფიცვა თან და თან ვრცელდება. კარდიფელმა მემანქანეებმა დაადგინეს გაფიცულთ მიემხრონ.

**ვაშინგტონი.** საიმიგრაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ხელმეორედ შეიტანა პალატაში საიმიგრაციო

ბილი. ამ ბილს პრეზიდენტმა ტაფტმა „ვეტო“ დაადო. ბილი იმიგრანტებისგან მოითხოვს წერა-კითხვისა და ცოტად ინგლისურ ენის ცოდნას. ამის წინააღმდეგ ებრაელი იმიგრანტები ამხედრდნენ.

**ტოკიო.** ფორმოზის სასამართლომ ექვს შეთქმულს სიკვდილით დასჯა მიუსაჯა; 130-ს კატორღა გადაუწყვიტა.

**მუკდენი.** შიდა მონღოლეთი პროვინციად აქციეს. დაარსდა მონღოლეთის გამოსარკვევად საგანგებო კომისია.

**ბელგრადი.** „პრეს-ბიურო“ უარჰყოფს ცნობას, ვითომც რუსეთსა და სერბიას ხელ-შეკრულება დაედოთ.

**შენიშვნა.** პეტერბურგის სააგენტო „პრეს-ბიუროს“ ცნობას ადასტურებს.

**რომი.** დეპუტატთა პალატა განაგრძობს მეფის სეფე სიტყვის საპასუხო ადრესის განხილვას. სოციალისტი კურატი ჰგმობს მთავრობის მოქმედებას არჩევნებში და ლივიის ავანტიურის წინააღმდეგ უკმაყოფილებას აცხადებს.

**სოფია.** ხმები, ვითომც ბულგარეთის ჯარის-კაცები ავსტრიაში გარბოდნენ, აგრეთვე ცნობა, ვითომც ხელ-შეკრულების გამჟღავნების გამო მრავალი ოფიცერი დააპატიმრესო, სიმართლეს არის მოკლებული.

**ვენა.** გალიციის სეიმში შეიტანეს მთავრობის კანონ-პროექტი გალიციაში კონსტიტუციისა და საარჩევნო რეფორმის შეცვლის თაობაზე. ნამესტნიკმა კორიტოვსკიმ ვრცელი სიტყვა წარმოსთქვა და აღნიშნა უკრაინელ ხალხის მოთხოვნილებათა დაკმაყოფილების საჭიროება.

**პარიზი.** რიბომ კაბინეთის შედგენაზე უარი სთქვა. პრეზიდენტმა ლუპიუს წინადადება მისცა კაბინეთის შედგენისა.

**მექსიკო.** ფინანსთა მინისტრი სესხის ასაღებად პარიზში გაემართა.

## რუსეთი.

**პეტერბურგი.** მდინარე ნევამ 6 ფუტითა და დიუმით იმატა. ქალაქის ზოგიერთი დაბლობი წყალით არის დაფარული. კამენისა და კრესტოვიცის კუნძულების ქუჩებზე გადმოხეთქა წყალმა. იღებენ საჩქარო ზომებს მცხოვრებთა გადასარჩენად.

**ეკატერინოდარი.** „მინდვრის ქაჯთა“ საქმე. მოწმეთა ჩვენების ჩამორთმევის დროს ინცინდენტი მოხდა: მოწმე ალობაძემ თავი დაზარალებულად განაცხადა; საქმეში კი არ იყო ეს აღნიშნული. მოულოდნელად ბრალდებულმა პლიუტმა განაცხადა, მოწმე ალობაძე გავძარცვე და 300 მანეთი წავართვიო. მაშინათვე შესაფერი ოქმი შეადგინეს. ჩვენება სხვა მოწმეებსაც ჩამოართვეს.

## წერილი რედ. მიმართ *)

ბევრი მითქმა-მოთქმა ასტეხა ბ. აკაკი ხოშთარიამ. ჯერ ორი წელიწადიც არ არის, რაც მან დაიწყო მუშაობა სპარსეთში და უკვე ვხედავთ შესანიშნავ მოძრაობას ფულისა და მუშებისას სპარსეთისაკენ. ამ გარემოებით ბევრი სახტად დარჩა, ბევრი მოხარულია, ბევრი — გაჯავრებული. ბევრი მეგობარი გაუჩნდა ბ. ხოშთარიას, უფრო მეტი — მტერი. მაგრამ რას იზამთ — ძალა აღმართსა ხნავს; ბ. ა. ხოშთარიამ გამოიჩინა ის ძალა, რომელიც ბოლოს და ბოლოს თავისას გაიტანს მიუხედავად მისგან აღძრული მტრობისა თუ მეგობრობისა...

ეს ორიოდე სიტყვა საჭიროდ დავინახე მეთქვა ეხლა, როცა არაძმური გრძნობა თურმე უფრო იზრდება ზოგიერთის გულში და ზოგან ისე გაიზარდა, რომ გაზეთის ფურცელსაც კი მიახწია. „სახალხო გაზეთის“ 1046 ნომერში მოთავსებულია ერთი წერილი, თითქმის ყოველ სიმართლეს მოკლებული.

მე ამ წერილის გარჩევას არ შევუდგები, არცა მაქვს მოცალეობა ამისთვის, მაგრამ არ შემიძლიან არ აღვნიშნო ზოგიერთი „შეცდომები“.

ავტორი ამ წერილში („ჩვენი მუშები სპარსეთში“) ვითომდა მუშების ინტერესებზე იღვწის, ნამდვილად კი მთელი წერილი მიმართულია „რუსეთ-სპარსეთის ტყის მრეწველთა ამხანაგობის“ წინააღმდეგ და მაშასადამე ბ. ხოშთარიასი წინააღმდეგ, რადგანაც იგი დირექტორია ამ ამხანაგობისა. აი „შეცდომებიც“:

სპარსეთის რევოლიუციის შემდეგ — ამბობს კორესპონდენტი — ხანები გაიხიზნენ ქალაქებშიო. დარჩა მათი მამული უპატრონოდ და ამხანაგობამ ადვილად ჩაიგდო იგი ხელშიო. ეგ არის განა მუშების ინტერესების დაცვა?! ეგ ამავე დროს ტყუილია. სპარსეთის რევოლიუცია იყო და გათავდა 1907 — 1909 წლებში, ჩვენი ხელშეკრულობა კი ხანებთან მხოლოდ შარშანდელია და წრევანდელი. რა შუაშია აქ რევოლიუცია?

შეცდომაა ის აზრიც, ვითომ ჩვენა გვქონდეს იჯარით აღებული ორასი დესეტინა ტყე-მინდორი და აგვეღო შარშან ლალა ორასი ათასი ფუთი ბრინჯი. გამოდის, ერთი დესეტინა იძლევა ათას ფუთს და ისიც როგორც ლალას!! აშკარაა, ავტორს წარმოდგენაც არა აქვს იმ საგანზე, რომელზედაც სწერს.

შეცდომაა ის აზრიც, რომ ვითომდა მუშებს შეძლება არა აქვთ უკან დაბრუნებისა, რადგანაც პასპორტები ჩამორთმეული აქვთ. ჯერ ერთი, არავის ნება არა აქვს მუშებს პასპორტები ჩამოართვას; ამის გარდა ყოველმა მუშამ იცის, რომ თვითონ ამხანაგობის კანტორა ურიგებს პასპორტებს და ყოველთვის შეუძლიან აიღოს პასპორტი და უკან დაბრუნდეს.

ჩვენ, მართალია, ტყეში სამუშაო ნარდად გადავეცით სხვადასხვა მოიჯარადრეებს. ამას მოითხოვს თვით საქმე, ბუნება და ხასიათი ტყის მრეწველობისა. მაგრამ ყოველი მოიჯარადრე დამოკიდებულია ამხანაგობის კანტორისაგან და მას ლონისძიება შეზღუდული აქვს შეაწუხოს ან მოატყუოს მუშა. პური და ხორცი ტყეში, რა თქმა უნდა, უფრო ძვირია, რადგანაც ხორაგეულობის გადაზიდვა ბევრს ხარჯსა თხოულობს, — მაგრამ არც ისე, როგორც იწერება ბ. კორესპონდენტი. მედუქნეებს კანტორისაგან დამტკიცებული ნიხრი აქვსთ. ყოველ მუშას დღეში დაახლოვებით 1 მ. 50 კ. — 2 მანათამდე ჰრჩება. ზოგან შეიძლება მეტიც.

ზოგ მოიჯარადრეს მუშები აუჯანყდნენო. ეს გაზვიადებაა. მოიჯარადრე ალ. შაუდიას მუშებმა მუშაობა მართალია შესწყვიტეს, რადგანაც ხელსაყრელად ვერ დაინახეს. რა მოხდა მერე? განა ის მუშები ვინმემ დაიჭირა, ან განა პასპორტები არა ჰქონდათ, რომ დაბრუნებულიყვნენ შინ? თვითონ კორესპონდენტი ამბობს, რომ ბ. ხოშთარიამ ქირა მოუმატა და მუშები ისევ დაბრუნდნენ სამუშაოდაო. ამ მაგალითიდან სჩანს, თუ როგორ ეპყრობა ბ. ხოშთარია მუშებს. მართლადაც: სამუშაო იჯარით არის გაცემული; ბ. შაუდიამ აღებული იჯარით საქმე უნდა შეასრულოს; თუ შეასრულა საქმე, ფულს მიიღებს, თუ ვერ შეასრულა — ვერაფერსაც ვერ მიიღებს. იურიდიულად აგრეა, საქმე. მაგრამ განა იურიდიულად და ფორმალურად შეჰხედა ამ საქმეს ამხანაგობის კანტორამ? სრულებით არა. თვითონ მუშებმა დააფასეს თავისი შრომა და კანტორამ თვითონ იკისრა ამ ზედმეტი ფულის გადახდა, თუმცა სრულებით ვალდებული არ იყო.

ამგვარადვე სამართლიანობა დაარღვიეს, კორესპონდენტის მიერ მოყვანილი მაგალითები. აუჯანყდნენ, გამოეცნენ მუშებიო, და ამავე დროს თვითონვე აღიარებს — უკანასკნელი ხუთასი მუშა მაინც ეხლა მუშაობსო. თქვე დალოცვილო, თუ ხუთასი კაცი მუშაობს, რა გასაკვირია, თუ ერთი-ორი კაცი ავად გახდება. ერთი ან ორი უკან დაბრუნდება, ერთი ან ორი, თქვენისთანა ხასიათის ადამიანი, ჰინჩულაობას დაიწყებს და მიეცემა ლობე-ყორეს?!

შემთხვევის გასაზოგადოება ზოგჯერ შესაძლებელია, მაგრამ ლოგიკური სამართლიანობაც კარგი საქონელია. რაღა უნდა ვუწოდოთ ასეთ „შეცდომას“, რომ ვითომდა ტყეში არც ექიმია, არც წამალი, არც სავადმყოფო თავშესაფარი? დამერწმუნეთ, რომ თქვენ ტყეში ყოფილიყავით, დაინახავდით პირველსაც, მეორესაც და მესამესაც. მაგრამ თქვენ, ბ-ნო ა—ნო, თქვენ ჩამოხვედით მხოლოდ ენზელში და ამხანაგობის კანტორის კარის იქით არაფერი გინახავთ.

საქმე მაშია, ჩემო მკითხველო, რომ ბ. ა—ნი ჩამოვიდა ენზელში და გვთხოვა სამსახურში მიგვეღო. სამწუხაროდ ჩვენ მას ადგილი ვერ მივეცით. გაჯავრებული ა—ნი უკან დაბრუნდა და მოგვახალა ზემოხსენებული სტატია „სახალხო გაზეთში“. მაგრამ ამასთანა ტლინკი ჩვენ ვერაფერს დაგვაკლებს... რა ვქნათ, არ იყო ადგილი და ვერ მოგეცით.

21 ნოემბერი — **გიორ. გვაზავა.**

*) ვბეჭდავთ ბ-ნ გ. გვაზავას „განმარტება“-ს სრულიად უცვლელ და მაგრამ ამასთანავე ერთად არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ, რომ თვით ბ-ნი გ. გვაზავას სიტყვითაც ყოფილა შემთხვევები მუშათა უკმაყოფილებისა. ვინც იცნობს სპარსეთს და იმ საერთო პირობებს, რომლებშიაც უხდებათ მუშაობა აქედან წასულ მუშებს, იმისთვის გასაკვირველიც არ უნდა იყოს, რომ მუშები მოკლებულნი იყვნენ კანონიერ მფარველობას. ამიტომ, ბ-ნი გ. გვაზავა უფრო კარგს საქმეს იზამდა, საპასუხო წერილების ბეჭვდის ნაცვლად, მუშებისთვის რომ მიექცია ყურადღება და მოესპო ის მიზეზები, რომლებიც მუშათა უკმაყოფილებას იწვევს. რედ.

რედაქტორი ნ. **კურდღელაშვილი.**
გამომცემელი **ა. ჯაჯანაშვილი**

## ᲛᲐᲢᲐᲠᲔᲑᲔᲚᲗᲐ ᲛᲘᲛᲝᲡᲕᲚᲐ

18 აპრილიდან
(დრო აღნიშნულია ტფილისის საათით).

**ტფილისიდან გადის.**

**ბაქოსაკენ:** № 6, **ჩქარი** პლაცკ. დილ. 10 ს. 16 წ., № 22, **სამგზ.-საბარგო** ნაშუადღ. 3 ს. 35 წ., № 4, **საფოსტო** საღამ. 10 ს. 16 წ., № 8, **სამგზავ.** საღ. 6 ს. 29 წ., № 106, **ნარევი** მეოთხე-კლასის ვაგონით, ტვირთის გადამზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 4 ს. 23 წ.

**ბათუმისაკენ:** № 3, **საფ.** დილ. 9 ს. 51 წ., № 11, დილ. 11 ს. 28 წ., (ივლის პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 7, **საჩქარო** პლაცკ. ნაშ. 4 ს. 40 წ., № 9, **სამგზ.** ღამის 10 ს. 30 წ., № 107, **ნარევ.** მეოთხე კლას. ვაგონებით, ტვირთ. გადასაზ. სამგზ. მატ. სისწრაფით ღამ. 2 ს. 48 წ.

**ბორჯომისაკენ:** № 17, **სამ.** დილ. 8 ს. 2 წ. № 19, **სამგზავრ.** ნაშუადღ. 3 ს. 16 წ.

**ჯულფისკენ:** **საფ.** № 4/3, შუადღ. 12 ს. 30 წ.

**ყარსისკენ:** **სამ.** № 14/13, ღამ. 12 ს. 46 წ.

**ერევანისკენ:** № 24/23, **საბარგ.-სამგზ.** საღ. 8 ს. 8 წ. მეორე და მესამე კლას. ვაგონებით.

**ტფილისში მოდის:**

**ბაქოდან:** № 3, **საფ.** დილის 9 ს. 1 წ., № 21, **საბარ.-სამგზ.** დილ. 10 ს. 28 წ., № 7, **სამგ.** მოსკოვი-კოზლოვი-რიაზანი-როსტოვი, ნაშუადღ. 3 ს. 53 წ., № 5, **საჩქარო** — პეტერბურგი-მოსკოვი-კურსკი-ხარკოვი, საღ. 9 ს. 35 წ., № 106, **ნარევ.**, მეოთხე კლ. ვაგონებით, ტვირთის გადასაზიდი სამგზავრო მატარ. სისწრაფით ღამის 2 ს. 12 წ.

**ბათუმიდან:** № 10, **სამგზ.** დილ. 8 ს. 40 წ. № 12, **სამგ.** შუადღ. 2 ს. 29 წ. (პირველ მაისიდან 14 ენკენისთვემდე). № 8, **სამგზ.** საღ. 5 ს. 54 წ., № 4, **საფ.** საღ. 9 ს. 16 წ., № 106, **ნარევი** ღამ. 2 ს. 12 წ.

**ჯულფიდან** № 413 საფოსტო 7 საათსა და 32 წუთსა საღამოთი.

**ერევნიდან** № 26/25 საქონლის და სამგზავრო 10 საათსა და 50 წუთზე დილით, მე-2 და მე-3 კლასის ვაგონით.

## ᲥᲐᲚᲐᲥᲘᲡ ᲡᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲔᲑᲘ

**მთავარი** — პუშკინის ქ., შესავალი გრაფის ქუჩიდან.

**ავლაბრისა** — კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა** — ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა** — ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა** — საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც (ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჩქარო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

გოხორრის (სუსუნატის) წინააღმდეგ უებრო საშუალება: „SALO — პირილინ“. სწრაფად და ურყევად მოჰკვეთს და, ყოველთვის, გოხორიული სნეულებად იძლევა. დარიგება კოლოფში სევს. იხმარეთ მხოლოდ ლითონის კოლოფებით და დ ფასი 1 მ. და 1 მ. 50 კ. აგრეთვე კარგად ხოჭნილებს მეტად გათეთრებულ და დაფარულ ავადმყოფობის დროს და სულ მოკლე ხანში სპობს უწყვეტელ მდინარეობას.

დეპო: Петербургъ, разъѣжая, № 7 аптека Б. Конгейма. იგზავნება ფოსტით, გასაგზავნი ფოსტის ტარიფის მიხედვით. იშოვება საფუთიაქო საქონლის კავკასიის საზოგადოების საწყობში.

Метцль 21328. 1038

## ᲡᲢᲣᲓᲔᲜᲢᲘ ᲞᲘᲚᲝᲚᲝᲒᲘ

გამოცდილი რეპეტიტორი — ამზადებს მოწაფეებს საშუალო და დაბალ სასწავლებლებისთვის.

პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე დილის 8—2 საათ. წერილობით მისამართი: პრიუტის ქ. № 8, ბინა 1, სტუდენტს. 1582

## ᲔᲥᲘᲛ ᲜᲐᲕᲐᲡᲐᲠᲓᲘᲐᲜᲘᲡ

## ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲙᲔᲠᲫᲝ ᲡᲐᲛᲙᲣᲠᲜᲐᲚᲝ

(დაარსებულია 1880 წელს)
ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.
**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე, გარდა კვირისა.**

**დ ი ლ ი თ:**

### „606“ და „914“

**11—12 ს. შეშხაპუნება კონსულტაციურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგახაროვი:** 1—2 ს. ბავშვთა შინაგანი ავადმყ.

**ქ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ნ. ტ. მუღლიანი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი ბავშვთა და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ო. ვ. ტერ-დავიდოვისა** 1—2 ს. საბებიო და ქალების ავადმყ.

**გ. დ. გურგენიძე.** 1—2 საათ. შინაგანი, საბავშვო, ყვავილის აცრა, სისხლის და შარდის ბაქტერეოლოგ. გამოკვლევა. საღამოობით 6—7 საათამდე.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**მ. გ. ავეტისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთათვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

საავადმყოფოს დირექტორი მედიცინის დოქტორი **ბ. ა. ნავასარდიანი.**
1004

## ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲘᲐᲠᲝ ᲗᲐᲕᲨᲔᲡᲐᲤᲐᲠᲘ ᲗᲣᲮᲐᲠᲔᲚᲘᲡᲐ

**გადავიდა** საკუთარ სახლში, გოლოვინის პროსპექტის ახლოს, ვოდოვოზნის შესახვევი № 8. მიღება მშობიარეთა ყოველთვის დღე და ღამე, საამბულატორიო მიღება ავადმყოფებისა, მასსაჟი და ყვავილის აცრა საღამოს 4 ს.-დან 5 ს.-მდე. 1511

## ᲔᲥᲘᲛᲘ **შ. ა. მიქელაძე**

16 ივნისიდან მიიღებს **შინაგან და ბავშვთა** სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ. საათიდან 7 საათამდე ახალ ბინაზე — მიხაილოვის პროსპექტი № 117. ტელეფონი 816.

## ᲔᲥᲘᲛᲘ **ა. ნ. დიასამიძე**

კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 სათ. კვირ. ავად. არ იღებს. მოსკოვის ქ., № 3, სახ. გაბაშვილისა.

## ᲡᲐᲮᲚᲘ

„ვაკეში“ განმარტოებით მდგარი სათავად-აზნაურო გიმნაზიის პირდაპირ, **იძლევა იჯარით,** ოთხი ოთახით „კუხნებით“, ვანის ოთახით, ორი პატარა სარდაფით, შუშაბანდიანი სარაია, მოწყობილი ელექტრონით და ტელეფონით. სახლს სუყველა მხრიდან მზე უდგება. შეიძლება ორ-ორი ოთახის იჯარით აღებაც. არის მილის წყალი და კარგი ჰაერი. შეიძლება გაყიდვაც. **პირობების გაგება** შეიძლება იქავე **გალუსტიანთან.** 1606

## ᲪᲘᲜᲙᲝᲒᲠᲐᲤᲘᲐ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲔᲚ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲗᲐ ᲐᲛᲮᲐᲜᲐᲒᲝᲑᲘᲡ

ᲕᲔᲠᲘᲡᲐ ᲙᲘᲡᲠᲔᲚᲝᲑᲡ ᲧᲝᲕᲔᲚᲒᲕᲐᲠ **ᲙᲚᲘᲨᲔᲔᲑᲘᲡ ᲓᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲐᲡ**

ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ ᲓᲠᲝᲖᲔ ᲡᲣᲤᲗᲐᲓ ᲓᲐ ᲮᲔᲚᲛᲘᲡᲐᲬᲕᲓᲝᲛ ᲤᲐᲡᲐᲓ.

ტფილისი, ვანქის დიდი ქუჩა, № 12. ✵ Тифлисъ Бол. Ванк. ул. № 12
1009

დაიწყო ბეჭდვა და ამ წლის დეკემბრის ოცში გამოვა გასასყიდად ახალი გამოცემა

## „ᲕᲔᲤᲮᲘᲡ ᲢᲧᲐᲝᲡᲜᲘᲡᲐ“

**სარგის კაკაბაძის რედაქტორობით.**

ტექსტი იმ გვარად იქნება დაწყობილი, რომ ნაჩვენები იქნება, თუ როგორ თანდათან საუკუნეების განმავლობაში თოთხმეტ რედაქციის გავლის შემდეგ 1,500 ტაეპოვანი „ვეფხვის ტყაოსანი“ გარდაიქცა 2,400 ტაეპოვანად. თოთხმეტი რედაქცია სთითაოდ იქნება ნაჩვენები. წიგნს თან დაერთვის ვრცელი გამოკვლევა, რომელშიაც განხილული იქნება „ვეფხის ტყაოსანი“ და მისი რედაქციები, აგრეთვე თუ ვინ იყო და როდის ცხოვრობდა შოთა რუსთველი და რამოდენიმე „ვეფხის ტყაოსნის“ უმთავრესი კომენტატორი. ბოლოს დართული ექნება სრული ვარიანტები წერა-კითხვის საზოგადოების ხელთნაწერების მიხედვით და კიდევ უცხო და საკუთარ სიტყვათა ლექსიკონი. წიგნი დასურათებული იქნება, იბეჭდება კარგს ქაღალდზე და ეღირება სამი მანეთი. **ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს და ფულსაც შემოიტანს, მისთვის ეღირება 2 მანეთი. ვინც 10 დეკემბრამდის დაიკვეთს ხალხად არა ნაკლებ ხუთი ცალისა, მას თითო წიგნი დაუჯდება 1 მან. 75 კაპ.** წიგნის დაკვეთა შეიძლება წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ტფილისში (სასახლის ქუჩაზე) და თვით გამომცემელთან. ტფილისში აგენტობა მინდობილი აქვს სპირიდონ ფიცხელაურს. ტფილისის გარედან ფული უნდა გამოიგზავნოს ამ ადრესით: Тифлисъ, Высшіе Женскіе Курсы. Сергѣю Нестеровичу Какабадзе. 1593




1523

გამოსულია და იყიდება

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა** „ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲝᲑᲐ“, დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

## Ქ. Შ. Წ.-Კ. ᲒᲐᲛᲐᲕᲠ. ᲡᲐᲖ. ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲛᲐᲦᲐᲖᲘᲐᲨᲘ ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

**წიგნები: ისტორიისა, საეკლესიო და საისტორიო მასალები:**

| | |
|---|---|
| ქართლ. ცხოვრ. მარიამ დედ. ვარ. | 3 მ. |
| საქართ. ისტორია ვახუშტისა, | 2— |
| „ „ ჩაქრაძისა, | 1— |
| „ „ 1-ლი ნაწ. ბროსესი, | 70 კ. |
| „ „ 2-რე ნაწ. „ | 70 „ |
| ხახანაშვილი ალექსანდრე. ბატონ-ყმობა საქართველოში, | —50 „ |
| იმერეთის მეფე სოლომონ მეორე, | —25 „ |
| პარიზის ქრონიკა, | —30 „ |
| Жизнь и дѣятельность Католикоса Антонія, I, | —40 „ |
| Багратъ Епископъ Товроменійскій Древнѣйшіе предѣлы разселенія грузинъ по Малой Азіи, | 1— / —60 „ |
| Матеріялы по Грузин. агіологіи | —80 „ |
| Правила VI Всел. Соб. | 1— „ |
| ხელთუფლიშვილი. Вступленіе Грузіи въ составъ Россійской имперіи, | 40 „ |
| ხონელი. Къ 100 лѣтію Крцанисской битвы, | —30 „ |
| **ახალი წიგნები:** | |
| ქართული ენისთვის ბრძოლა, თ. ჟორდანიასი, | —20 „ |
| ისტორიული საბუთები წ. 2-რე ს. კაკაბაძე, | —85 „ |
| ორი ლექცია, ბ. ხერხეულიძისა, | —30 „ |

ადრესი: Тифлисъ. Книжный магазинъ О-ва распр. грам. ср. груз. нас. 1917

## ᲛᲣᲓᲐᲛ ᲓᲦᲔ ᲛᲝᲒᲕᲓᲘᲡ

ახალ-ახალი თევზის მრეწველნი

## ᲛᲛ. ᲫᲔᲒᲕᲔᲚᲝᲕᲔᲑᲘ.

მტკვრის თართი, ზუთხი, ლოქო, და სუდაკი. აგრეთვე იყიდება მაილოვის

## ᲮᲘᲖᲘᲚᲐᲚᲐ.

კოლოფით ქილკა და ხმელი სოკო, აგრეთვე ყოველ დროს იყიდება მაღაზიაში **მარტის დოში, იანი, შიპა, ზურგიელები** და სხვა ყოველნაირი თევზეულობა და **კონსერვები.**

პუშკინის ქუჩა, საკუთ. სახ. № 9.

ტელეფონი № 712.
1560




1453

## Верійская парная баня

ვისაც გსურთ ბანაობა, მობრძანდით და ინახეთ

## ზ. ი. ᲐᲒᲠᲐᲛᲐᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ

— ✦ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲣᲚᲐᲓ ᲛᲝᲠᲗᲣᲚ ᲝᲠᲗᲥᲚᲘᲡ ᲐᲑᲐᲜᲝᲨᲘ ✦ —

**ვერის დაღმართზე,** (Верійскій спускъ, № 7),

ქალაქის შუა ადგილას, საიდანაც ტრამვაის საშუალებით ყველა დაწესებულებას ადვილად და იაფად მიწვდებით.

გვყავს ქართველი და სპარსელი გამოცდილი მექისეები.

**განათებულია ელექტრონით.**

**ღია არის დილის 6 ს.-დან ღამის 12 ს.-დე, ხოლო კვირაობით — დილის 6 საათიდან ნაშუადღევ. 2 საათამდე.**

საერთო ნომრები ცალ-ცალკე ქალებისათვის და კაცებისათვის 20 კ. **ცივი** და **ცხელი დუში** სათავად-აზნაურო საერთოში 40 კაპ., ხოლო მოსწავლეებისათვის 30 კ. **ვანები** აბონემენტები (გრადუსით) 30 კაპ. ნომრების ფასი 60 კ. 1—50 კ. გვყავს პარიკ მახერი კვირა დღითაც საათის ორამდინ. 1602

ტფილისი, სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.